171
972

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებათა და ინსტრუქციათა
კრებული

12

СБОРНИК
ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

დ ე კ ე მ ბ ე რ ი

თბილისი 1972

171
172

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებათა და ინსტრუქციათა
კრებული

12

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

დ ე კ ე მ ბ ე რ ი

თბილისი 1972

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა
კრებული

12

СБОРНИК
ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

F 3659

დ ე კ ე მ ბ ე რ ი

თბილისი 1972

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 13 ნოემბრის ბრძანება № 601

ესთეტიკის დარგში რესპუბლიკის მოსწავლეთა ზოგადი ცოდნის მდგომარეობის შესახებ

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვალთახედვისა და ესთეტიკური გემოვნების შემოწმებამ გამოავლინა, რომ წინა წლებთან შედარებით სკოლაში მოსწავლეთა მხატვრული გემოვნების ფორმირება ძირითადად ჯანსაღი მიმართულებით ხორციელდება, მაგრამ მოზარდი თაობის მხატვრული აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია, რაც ამ საქმისადმი ყურადღების გამახვილებასა და ქმედითი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

§ 1

1. სკოლის დირექტორებმა:

ა) ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ მხატვრული ციკლის წრეების, ლიტერატურის, გამომეტყველებითი კითხვის, დრამატული, მუსიკალური, ქორეოგრაფიული, სახვითი ხელოვნების, თოჯინების თეატრების, მუსიკალური ჯგუფების, საგუნდო კოლექტივების, ხელოვნების მოყვარულთა კლუბების ჩამოყალიბებას და მათი მუშაობის მაღალ დონეზე წარმართვას;

ბ) გეგმაზომიერად მოაწყონ ლიტერატურული დილა-საღამოები, გასამართლებები, ვიქტორინები, შექმნან წიგნის მოყვარულთა ფარეპი, ჩაატარონ წიგნის სასკოლო კვირეულები, რეგულარულად მიაწოდონ მოსწავლეებს ინფორმაცია ხელოვნებისა და ლიტერატურის მიღწევების შესახებ. განაზოგადონ შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ლიტერატურის კაბინეტის

გამოცდილება. გამომეტყველებითი კითხვის წრეებმა მოაწყონ კითხვის საღამოები და კონკურსები (მაგ. „ერთი ლექსის ...), გამოაცოცხლონ დრამატული წრეების მუშაობა, რეგულარულად ჩაატარონ მოსწავლეთა თვითმოქმედების ოლიმპიადები, ნორჩ მუსიკოსთა კონკურსები, ღია და დახურული კონცერტები, სამეჯლისო, მოძმე ხალხებისა და ეროვნული ცეკვების საღამოები და სხვა;

გ) ესთეტიკური ციკლის წრეების მუშაობაზე პასუხისმგებლობა დააკისრონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორს და უზრუნველყონ სკოლის საალმზრდელო გეგმით გათვალისწინებული ყველა საკითხის განუხრელი შესრულება;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თეატრის, კინოსა და საკონცერტო პროგრამების თემატურად გაცნობა-გაანალიზებას, მუზეუმებში მასობრივი სვლების მოწყობას;

ე) არსებული პროგრამების მიხედვით ფართოდ გამოიყენონ ფაკულტატიური მეცადინეობის საათები ხელოვნების სხვადასხვა დარგების შესასწავლად;

ვ) მაქსიმალურად გამოიყენონ ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამოცემები მეთოდური სახის ბროშურები, ბიულეტენი „ესთეტიკური აღზრდა სკოლაში“, მითითებანი და სხვ.

2. ესთეტიკური აღზრდისა და მისი გაუმჯობესების საკითხები პერიოდულად განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და მიაღწიონ იმას, რომ ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესება სკოლაში გახდეს მთელი პედაგოგიური კოლექტივის ამოცანა და ყოველდღიური ზრუნვის საგანი.

3. ესთეტიკური აღზრდისათვის მაქსიმალურად გამოიყენონ სწავლების ტექნიკური საშუალებები, მაგნიტოფონები, კინოაპარატები, ელექტროდამკვრელები და სხვა.

§ 2

რაიონისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

1. ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ ესთეტიკური ციკლის საგნების სწავლებისა და წრეობრივი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. აქტიურად ჩაებან ამ საქმიანობაში შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, უზრუნველყონ მოსწავლეთა სისტემატური კოლექტიური დასწრება სპექტაკლებსა და კინოფილმებზე და მათი გარჩევა.

2. ჩაატარონ რაიონული და საქალაქო ღონისძიებები: დილასალამოები, შეხვედრები ხელოვნების მუშაკებთან, ლიტერატურული გმირების გასამართლებები, ლექცია-კონცერტები და სხვ.

3. შემოიღონ პრაქტიკაში ინფორმაციის დღე ესთეტიკური ციკლის მასწავლებლებისათვის საბჭოთა და მოწინავე საზღვარგარეთული ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების გაცნობის მიზნით.

§ 3

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა (ჯ. მუჯირი):

ა) უზრუნველყოს სკოლები ესთეტიკური აღზრდის საკითხებზე სპეციფიკური მეთოდური და საინფორმაციო ხასიათის ბროშურებით; სისტემატურად ჩაატაროს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გასვლითი სემინარები, საინფორმაციო საუბრები და სხვა;

ბ) რეგულარულად შეამოწმოს მოსწავლეთა ესთეტიკური განვითარების დონე და შედეგების გაანალიზების შემდეგ გაატაროს შესაფერისი ღონისძიებანი;

გ) მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან თეატრის, კინოს, მუსიკის, სახვითი ხელოვნებისა და ქორეოგრაფიის შესახებ ლექციების ციკლის წასაკითხად მოიწვიოს რესპუბლიკის წამყვანი ხელოვნებათმცოდნეები და მსახიობები.

§ 4

ეთხოვოს საბავშვო გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს შემოიღონ სპეციალური კუთხე ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ მოსწავლეთა კრიტიკული წერილების, მოსაზრებების, შთაბეჭდილებების გამოსაქვეყნებლად.

§ 5

ეთხოვოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს რეგულარულად მოაწყოს თეატრების გასვლითი წარმოდგენები რესპუბლიკის რაიონული ცენტრების, ქალაქებისა და სოფლების მოსწავლეთათვის. ამასთან ერთად განახორციელოს ღონისძიებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონიის სასკოლო საესტ-

რადო ჯგუფებისათვის იდეურ-მხატვრული რეპერტუარის შესაქმნელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 6

ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტს: ესთეტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის საკითხებზე სკოლებისათვის შექმნას ტელეფილმების სპეციალური სერიების კურსი—მოზარდებთან მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 25 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ვ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების 1972 წლის 20 ნოემბრის ბრძანება № 620/490

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოთა მუშების ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები დიდმნიშვნელოვან როლს აკუთვნებენ საღამოს (ცვლის) სკოლებს ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში.

წარმოებაში დასაქმებული ახალგაზრდობის სწავლებაში საუკეთესო შედეგებს ძირითადად ის საღამოს (ცვლის) სკოლები გვაძლევენ, რომლებიც უშუალოდ საწარმოებთან არსებობენ; ასე, მაგალითად, ქ. თბილისის მე-18 საღამოს სკოლა (სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატთან), 23-ე სკოლა (თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისთან"), მე-11 საღამოს სკოლა (თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებასთან) და სხვ.

წარმოებაში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის შემდგომ ასამაღლებლად ერთობლივი საქმიანობის დადებით მაგალითს იძლევა გორის ბამბეულის კომბინატისა და მასთან არსებული საღამოს სკოლის ხელმძღვანელობა: კომბინატმა სკოლისათვის ააგო საშუალო სკოლის ტიპიური შენობა, შეუძინა დგამ-ავეჯი და კაბინეტ-ლაბორატორიები, აღრიცხული ჰყავს კომბინატში მომუშავე 16—29 წლის ასაკის ახალგაზრდობა, შედგენილია მათი სწავლების სამწლიანი პერსპექტიული გეგმა: აღნიშნული ასაკის ახალგაზრდობას შორის სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობის საწარმოებლად შექმნილია საორგანიზაციო კომისია; მუშა-მოსწავლეთა სწავლების სხვადასხვა საკითხს იხილავენ ცალკეული ფაბრიკების მუშათა საერთო კრებებსა და ალკკ კომიტეტთა სხდომებზე. აღნიშნულ ღონისძიებათა შედე-

გად. კომბინატის ფაბრიკებში დასაქმებული 16—29 წლის ასაკის რვაწლიანი და საშუალო განათლების არამქონე 232 ახალგაზრდიდან სწავლებაშია ჩაბმული 173.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად, რესპუბლიკის მუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებს მომუშავე ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლებისათვის ზრუნვის საქმეში აქვთ მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ სამი წლის წინათ შეიქმნა საღამოს (ცვლის) სკოლების მუშაობის საზოგადოებრივი დათვალიერების მომწყობი საქალაქო და რაიონული კომისიები, დღემდე ზოგი მათგანი უფერულად, ნაკლები პასუხისმგებლობით მუშაობს. საკმარისია ითქვას, რომ ისეთ მსხვილ საწარმოში, როგორიცაა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი, დღემდე არა აქვთ სწავლებაში ახალგაზრდობის ჩაბმის სამწლიანი პერსპექტიული გეგმა. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ახსნა-განმარტებითი მუშაობა წარმოებაში დასაქმებულ ახალგაზრდობას შორის, რის შედეგადაც 16—29 წლის ასაკის რვაწლიანი და საშუალო განათლების არამქონე 163 ახალგაზრდიდან სწავლებაშია ჩაბმული მხოლოდ 71.

თბილისის აბრეშუმის საწარმოთა გაერთიანებას არა აქვს არამარტო პერსპექტიული გეგმა, არამედ თვით სათანადო ასაკის მომუშავე ახალგაზრდების დაზუსტებული აღრიცხვა და ცნობები მათი განათლების შესახებ.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებთან არსებული ქ. თბილისის მე-11, მე-19 და ქ. გორის მე-2 საღამოს (ცვლის) სკოლებში ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენასა და სკოლიდან გასვლის ხშირ შემთხვევებს, რაც გამოწვეულია იმითაც, რომ სათანადო წარმატების მქონე მოსწავლეები ჯერ კიდევ არასაკმაოდ სარგებლობენ მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათებით საღამოს სკოლების მოსწავლეთათვის შემცირებული სამუშაო კვირის ან შემცირებული სამუშაო დღის დაწესების შესახებ.

საღამოს (ცვლის) სკოლების დიდ ნაწილში დღემდე არ ეწყობა ცვლიანი მუშაობა, რაც დიდად უშლის ხელს სწავლებაში განსაკუთრებით ქალების ჩაბმას, სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრისა და სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1972 წლის 28 ივლისის № 406/88 ერთობლივი ბრძანების—„სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოთა მუშების ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიიღონ ზომები საღამოს (ცვლის) სკოლების მუშაობის რეჟიმის მოსაწესრიგებლად იმ ანგარიშით, რომ დადგენილი წესის მიხედვით, სადაც ეს საჭიროა, მოაწყონ მეცადინეობა ცვლების, აგრეთვე სწავლების როგორც დასწრებული, ისე დაუსწრებელი ფორმების მიხედვით, თვით საწარმოებთან შექმნან სკოლების საკონსულტაციო ჯგუფები, სადაც სამუშაოდ გამოიყენონ ერთ-ერთი გამოსასვლელი დღე;

ბ) საღამოს სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებელთათვის საზოგადოებრივ საწყისებზე მოაწყონ სამეცნიერო-მეთოდიკური ხასიათის მეცადინეობანი წარმოების საფუძვლების შესასწავლად;

დ) დაავალდებულონ საღამოს სკოლების ხელმძღვანელები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სწავლებაში ახალგაზრდების ჩაბმის საგეგმო დავალებათა დამუშავებაში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საფაბრიკო-საქარხნო და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის გაშლასა და მათ განმტკიცებას სწავლების ერთი ან ორწლიანი ვადით;

ე) სისტემატურად ჩააყენონ საქმის კურსში მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელები წარმოებაში დასაქმებული ახალგაზრდების სწავლებაში ჩაბმის, სასწავლო მეცადინეობაზე მათი დასწრების, აკადემიური წარმატების, დისციპლინისა და სხვ. შესახებ;

ვ) გატარონ დაუყოვნებლივი ღონისძიებანი პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის სრულიად საკავშირო დათვალიერების, რომელიც ტარდება დევიზით—„ყოველ ახალგაზრდა მშრომელს —საშუალო

განათლება“, მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ამასთან, აქტიურად ჩააბან ამ მუშაობაში ადგილებზე არსებული საღამოს სკოლების მუშაობის ხელშემწყობი მუდმივმოქმედი კომისიები.

2. რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელებმა:

ა) სკოლების დირექტორებთან ერთად ჩაატარონ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში მომუშავე 16—29 წლის ასაკის რვა კლასისა და საშუალო განათლების არამქონე მომუშავე ახალგაზრდების ზუსტი აღრიცხვა;

ბ) შეიმუშაონ და მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე წარმოადგინონ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში განზოგადებული პერსპექტიული გეგმები. ამასთან, მტკიცედ განსაზღვრონ სწავლებაში ახალგაზრდობის ჩაბმის ყოველწლიური დავალებანი: მუშა-მოსამსახურეთა ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების საკითხები შეიტანონ საწარმოთა სოციალური განვითარების გეგმებში იმ ანგარიშით, რომ 1975 წლისათვის წარმოებაში დადასაქმებული არც ერთი ახალგაზრდა არ დარჩეს საშუალო განათლების გარეშე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სწავლებაში წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდების ჩაბმას;

გ) სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად ადგილებზე გადასინჯონ საღამოს სკოლების ქსელი და, სადაც ეს საჭირო აღმოჩნდება, დააყენონ საკითხი ახალგაზრდების თვით სამუშაო ადგილებზე სკოლების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების გახსნის შესახებ;

დ) ყოველნაირად შეუწყონ ხელი საღამოს (ცვლის) სკოლებს სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში, გამოუყონ მათ მეცადინეობისათვის ვარგისი შენობები ცვლების მიხედვით მუშაობის მოსაწყობად, დაეხმარონ კაბინეტ-ლაბორატორიებითა და თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით უზრუნველყოფაში;

ე) მტკიცედ იხელმძღვანელონ ზემდგომი ორგანოების დადგენილებით—„იმ პირთათვის შემცირებული სამუშაო დღის ან შემცირებული სამუშაო კვირის დაწესების შესახებ, რომლებიც წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში, საღამოს (ცვლის, სეზონურ) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანამანათლებლო სკოლებში“.

ვ) სისტემატურად წაახალისონ ის ახალგაზრდები, რომლებიც წარმატებით უიავსებენ ერთმანეთს სწავლასა და შრომას, ამასთანავე ნით მათთვის საკვალიფიკაციო თანრიგების მინიჭების თუ ამაღლების დროს, აგრეთვე უფრო საპასუხისმგებლო სამუშაოზე გადაყვანისას გაითვალისწინონ ახალგაზრდების სწავლისა და შრომის შეხამების უნარი;

ზ) კოლექტიურ ხელშეკრულებებსა და სოციალისტური შეჯიბრების პირობებში აუცილებლად შეიტანონ ვალდებულებანი ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებაზე, რასაც ანგარიში გაუწიონ შედეგების დაჯამების, აგრეთვე კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდების მინიჭების დროს.

3. საწარმოებისა და საღამოს (ცვლის) სკოლების ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ, რომ:

ა) პასუხისმგებლობა მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში მომუშავე ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებაზე თანაბრად ეკისრებათ საწარმოებისა და სკოლების ხელმძღვანელებს:

ბ) საწარმოსთან არსებული საღამოს სკოლების მუშაობის გასაუმჯობესებლად მიმართული ღონისძიებანი ერთობლივად მუშავდება და ხორციელდება წარმოებისა და სკოლის ხელმძღვანელთა მიერ.

4. სახალხო განათლების შესაბამისმა ორგანოებმა და სათანადო საწარმოთა ხელმძღვანელებმა ინფორმაცია ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოადგინონ 1973 წლის 1-ელ იანვრამდე.

5. მეთვალყურეობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე დაეკისროთ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის ხელმძღვანელი კადრების განყოფილებას და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს.

საფუძველი: საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიების 1972 წლის 16 ნოემბრის ერთობლივი დადგენილება.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი	საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
გ. გამცემლიძე	**თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 21 ნოემბრის ბრძანება № 622

ვაქვეყნებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს 1972 წლის 22 აგვისტოს დადგენილებას—„ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“

„საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭო

დადგენილება № 455

1972 წლის 22 აგვისტო
ქ. თბილისი

ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ პროფესიების შეგნებულად ამორჩევისათვის ახალგაზრდობის მომზადება ერთ-ერთი ფრიად-მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა.

ამ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გარკვეულ მუშაობას ეწევიან ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციისათვის.

ამასთანავე ახალგაზრდობის პროფესიულ ორიენტაციას უმრავლეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ზერელედ და არა

ჯეროვანი მიზანსწრაფვით ეწევიან, სკოლები საკმაოდ არ არიან ინფორმირებული, თუ რა პერსპექტიული მოთხოვნილებაა მუშათა კადრებზე სახალხო მეურნეობაში, ისინი არ არიან უზრუნველყოფილი ლიტერატურით, სახელმძღვანელოებითა და თვალსაჩინო ინფორმაციით სხვადასხვა პროფესიათა შესახებ; სკოლებში დაბალ დონეზეა შრომითი სწავლება.

რესპუბლიკაში არ არის მოწყობილი ჯეროვანი კონსულტაციები ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის შესახებ, არ სწარმოებს იმ სამინისტროების და უწყებების მეცადინეობის კოორდინაცია, რომლებიც მოწოდებული არიან დაეხმარონ სკოლას, რათა მოამზადონ მოსწავლე ახალგაზრდობა პროფესიების შეგნებულად ამორჩევისათვის.

მუშათა პროფესიების პროპაგანდას დამაკმაყოფილებლად არ ეწევიან პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით.

საქართველოს კპ საოლქო კომიტეტები, საქალაქო კომიტეტები და რაიკომები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები, საქართველოს ალკკ საოლქო კომიტეტები და რაიკომები ჯერ კიდევ არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას სკოლებსა და საწარმოებში ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობას.

ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭო

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა და რაიკომებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმ, პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმ, საქართველოს ალკკ საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა, საქართველოს მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა:

—დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დადგენილებაში აღნიშნულ ბაკალოვანებათა უსწრაფეს აღმოფხვრას და ახალგაზრდობისათვის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას;

—მოსწავლეთა პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის მომზადების მიზნით დაევალოთ საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ხელმძღვანელებს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სკოლებს მოსწავლეთა შრომითი აღზრდის მოწყობაში, პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნაში, საამისოდ საჭირო სპეციალისტთა გამოყოფაში.

—გააქტივონ რვაწლიან და საშუალო სკოლებში მუშაობა პროფესიული ორიენტაციისათვის იმ გზით, რომ გააცნონ მოსწავლეებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგი და ყველაზე უფრო გავრცელებული პროფესიები.

2. იმ მიზნით, რომ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში გაუმჯობესდეს ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის კოორდინაცია და შემუშავდეს რეკომენდაციები ამ მუშაობის სრულყოფისათვის, შეიქმნას ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მეთაურობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს და დაამტკიცოს საუწყებათაშორისო საბჭოს შემადგენლობა.

მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საუწყებათაშორისო კომისიების შექმნა რესპუბლიკის დიდი ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

ა) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, 1972 წლის 15 ნოემბრამდე

შეიმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის დიფერენცირებული მუშაობის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები;

ბ) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მეექვსე კლასიდან აწარმოოს სისტემატური და გეგმაზომიერი მუშაობა პროფესიული ორიენტაციისათვის, აქტიური მონაწილეობა მიიღებინოს ამ მუშაობაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების ინჟინერ-პედაგოგებს და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლებს, აგრეთვე წარმოების მოწინავეებსა და საწარმოს ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს. უფრო ფართოდ გააცნოს მოსწავლეებს თანამედროვე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მასობრივი მუშათა პროფესიები, მუშათა შრომის პირობები, მოაწყოს სკოლის მოსწავლეთა ექსკურსიები პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მათი შეხვედრები შრომის მოწინავეებთან და ვეტერანებთან, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, შეფი საწარმოებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, შეძლებისდაგვარად შექმნას პროფესიული ორიენტაციის კაბინეტები ან კუთხეები;

გ) დაავალოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებს ყოველწლიურად, მოსწავლეების მიერ მერვე და მეათე კლასების დამთავრებამდე სამი თვით ადრე შეატყობინონ ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის რაიონულ კომისიებს იმ კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომლებმაც სურვილი განაცხადეს იმუშაონ წარმოებაში ან განაგრძონ სწავლა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში;

დ) რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებთან ერთად, გააუმჯობესოს ბავშვებსა და მოზარდებში საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა საბრძოლო, შრომითი და რევოლუციური ტრადიციების პროპაგანდა, მკაფიოდ და დამაჯერებლად უჩვენოს მუშათა კლასის მზარდი როლი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, შთაუნერგოს მოსწავლე ახალგაზრდობას ღრმა პატივისცემა მშრომელი ადამიანებისადმი, რომლებიც უშუალოდ ქმნიან მატერიალურ დოვლათს, მისწრაფება წარმოებაში მუშაობისადმი;

ე) გააძლიეროს და გააფართოოს ოჯახისა და სკოლის ერთობლივი მუშაობა მოზარდთა მოსამზადებლად პროფესიების შეგნებულად ამორჩევისათვის.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ განიხილოს პედაგოგიური ინსტიტუტებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საწავლო პროგრამებში იმ საათების რაოდენობის გადიდების შესაძლებლობა, რომლებიც გამოიყოფა პროფესიული ორიენტაციის საკითხების სწავლებისათვის, აგრეთვე აღნიშნულ სასწავლებლებში მეცნიერული მუშაობის უფრო ფართოდ გაშლა ამ დარგში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა:

ა) გააუმჯობესოს მუშაობა პროფესიული ორიენტაციისათვის იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც არ სწავლობენ;

ბ) პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გააძლიეროს კონტროლი საწარმოებსა და ორგანიზაციებში ახალგაზრდობის შრომითი მოწყობისადმი, აგრეთვე იმისადმი, რომ საწარმოებში შეიქმნას საჭირო პირობები ახალგაზრდა მუშათა კადრების შენარჩუნებისათვის;

გ) გამოყოს პროფესიული ორიენტაციის საკითხებზე მუშაობისათვის უფროსი მეთოდისტის ერთი საშტატო ერთეული 120 მანეთი თვიური განაკვეთით (კომიტეტისათვის 1972 წლის დამტკიცებული შტატებისა და ახიგნებათა ხარჯზე).

6. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს:

ა) სისტემატურად წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტს საჭირო ცნობები კვალიფიციური მუშახელის ბალანსების შესადგენად კომიტეტის მიერ დადგენილ ვადებში და ფორმების მიხედვით;

ბ) დახმარება გაუწიონ ახალგაზრდებს პროფესიების არჩევაში, საწარმოებში მოაწყონ იმ ახალგაზრდების პროფესიული მომზადება, რომლებსაც არ გააჩნიათ სპეციალობა და შეუქმნან მათ პირობები კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

გ) დააკისრონ ნორმატიულ-კვლევითს სადგურებს, სასწავლო კომბინატებსა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, რომ დახმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება გაუწიონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს პროფესიულ-ორიენტაციისა და კონსულტაციებისთვის სამუშაობის მოწყობაში.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობამ, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა 1973 წლიდან გამოსცეს პროპაგანდისტული და საცნობარო ლიტერატურა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის დაკვეთით.

8. საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, აგრეთვე უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სასწავლებლებმა და პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა დახმარება გაუწიონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ტექნიკური წრეების, ფაკულტატიური მეცადინეობის, საწარმოო პრაქტიკისა და ექსკურსიების, აგრეთვე საზაფხულო შრომათი ბანაკების მოწყობაში.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური, საქალაქო, რაიონული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები, რომლებიც ახალგაზრდობას გააცნობენ სახალხო მეურნეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვან მუშათა პროფესიებს, მათი შეძენის პირობებსა და განვითარების პერსპექტივებს.

10. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ 1973 წლის ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საბჭოსათვის უფროსი ეკონომისტის საშტატო ერთეულის დამატებითი გამოყოფა 145 მანეთი თვიური განაკვეთით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
ა. ჩურკინი	გ. ჯავახიშვილი	თ. მოსაშვილი

F 3659

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს აღნიშნული დადგენილება განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და მტკიცე კონტროლი დააწესონ მისი შესრულების მიმდინარეობაზე;

ბ) სკოლებში შრომითი სწავლების საინსპექტორო შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული თემების შესწავლის თანამიმდევრობაზე, შესწავლისათვის განკუთვნილი საათების რაციონალურად გამოყენებაზე, აგრეთვე სასწავლო მოწყობილობის გამართულობასა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საკითხებზე;

გ) სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად, გააძლიერონ მუშაობა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის ახალგაზრდობის მიდრეკილებისა და სახალხო მეურნეობის კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნათა გათვალისწინებით;

დ) პერიოდულად — ყოველ კვარტალში ერთხელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეისწავლონ მოსწავლეთა პროფესიულ-ტექნიკური ორიენტაციის მდგომარეობა, შედეგები განიხილონ კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და დასახონ

კონკრეტული ღონისძიებანი ამ დარგში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ე) მტკიცე კონტროლი დააწესონ და მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა იმ სკოლებზე, სადაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, შემოღებულია ავტოსაქმის სწავლება და სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადება;

ვ) მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური ორიენტაციისათვის საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნან საუწყებათაშორისო საბჭოები, სკოლებში—საკონსულტაციო კაბინეტები და კუთხეები.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

ა) პროფტექნიკურ სასწავლებლებთან შეთანხმებით პერიოდულად მოაწყონ მოსწავლეთა ექსკურსიები პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, გააცნონ მათ სასწავლო-საწარმოო ახელოსნოები, სწავლების ფორმა და შინაარსი, მოსწავლეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები და მათთან ერთად უზრუნველყონ ერთობლივი კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარება;

ბ) სისტემატური და გეგმაზომიერი მუშაობა ჩაატარონ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის, ამ საქმიანობაში ფართოდ ჩააბან სკოლის მასწავლებლები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ინჟინერ-პედაგოგები და წარმოების მოწინავე მუშაკები;

გ) სასწავლო წლის დამთავრებამდე სამი თვით ადრე შრომითი მოწყობის საქალაქო (სარაიონო) კომისიებს მიაწოდონ ცნობები კურსდამთავრებულ მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს იმუშაონ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში;

დ) გააძლიერონ და გააფართოონ ოჯახისა და სკოლის ერთობლივი მუშაობა მოზარდთა მოსამზადებლად პროფესიების შეგნებულად არჩევისათვის;

ე) მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი დასაქმებისა და პროფესიული ორიენტაციის საქმის მაღალ დონეზე დაყენებისათვის, პედაგოგიურ კოლექტივებთან ერთად, ფართოდ ჩააბან ამ მუშაობაში ადგილობრივი წარმოება-დაწესებულებები, პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. მა-

თი ინიციატივით მოეწყოს საუბრები, მოხსენებები, ძველ და ახალ თაობათა წარმომადგენლების შეხვედრები და საწარმოო ხასიათის ექსკურსიები;

ვ) სკოლებში საზოგადოებრივ საწყისებზე მოაწყონ მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საკონსულტაციო კაბინეტები, კუთხეები და წარმოება-დაწესებულებათა ცხოვრების ამსახველი გამოფენები.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, 1972 წლის 30 დეკემბრამდე შეიმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის დიფერენცირებული მუშაობის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი):

ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა, ხელმძღვანელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა კურსებისა და კურს-სემინარების სასწავლო გეგმებში გაითვალისწინოს მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური ორიენტაციის ძირითადი საკითხები;

ბ) მეთოდური კაბინეტების მეთოდისტებმა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სემინარების ჩატარებისას ყურადღება გაამახვილონ მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საკითხებზე და მისცენ დიფერენცირებული რეკომენდაციები.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. დ. გვალია):

ა) რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სკოლებზე მეთოდური დახმარებისათვის გაამახვილოს ყურადღება მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისადმი. მასწავლებელს მისცეს კონკრეტული რეკომენდაციები მისი განხორციელების გზების შესახებ;

ბ) სასწავლო ტელეგადაცემების გეგმებში გაითვალისწინოს სპეციალური გადაცემები მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური ორიენტაციის საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე):

ა) პერიოდულად შეამოწმოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს 1972 წლის 22 აგვისტოს № 455 ერთობლივი დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები განსახილველად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას;

ბ) 1972 წლის 28 დეკემბრამდე შეიმუშაოს მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის საუწყებათაშორისო საბჭოს ტიპობრივი დებულება და დასამტკიცებლად წარმოადგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიაზე.

7. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 1 დეკემბრის ბრძანება № 638

თიანეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 12 ოქტომბრის № 602 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

გავეცანი რა სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათს, აღვნიშნავ, რომ თიანეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებასა და სკოლებს გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული აღნიშნული ბრძანების შესრულების მიმართულებით, საყოველთაო სწავლების განხორციელების, სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით, მაგრამ განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობაში კვლავ შეინიშნება ნაკლოვანებანი, რომელთა გამოსწორების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. თიანეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (გამგე ე. თურქიაშვილი):

ა) ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად; გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა იმ ნიადაგზე, რათა სკოლების მიერ ჩატარებული მუშაობის ხარისხის შეფასება იყოს ყოველმხრივი, საფუძვლიანი და ხელს უწყობდეს პედაგოგიური კოლექტივების შემოქმედებითი საქმიანობის განმტკიცებასა და ამაღლებას; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლებისათვის მიცემულ მითითებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმებას;

ბ) მიაღწიოს იმას, რომ სკოლის ხელმძღვანელები, საფუძვლიანად სწავლობდნენ სასწავლო პროგრამებს, სახელმძღვანელოებს, სადირექტივო ორგანოების მიერ მიღებულ დოკუმენტებს: გადაჭრით გააუმჯობესოს სკოლებში შიდა სასკოლო კონტროლისა და ხელმძღვანელობის მეთოდები, რათა სკოლის მუშაკები საფუძვლიანად აანალიზებდნენ და წვდებოდნენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის ყველა სფეროს, კონტროლი ატარებდეს გეგმიან, მიზანდასახულ და სისტემატურ ხასიათს; სრულყოფდნენ საგნების სწავლებასა და აღმზრდელობით მუშაობას;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღოს სკოლებში მასწავლებელთა მეთოდკომისიებისა და სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებების მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; აღმოფხვრას ფორმალიზმი და მიაღწიოს იმას, რომ წაკითხული მოხსენებები ნამდვილად პასუხობდნენ მასწავლებელთა თეორიული დონის ამაღლებასა და მეთოდური დახელოვნების ამოცანებს; კონტროლი დააწესოს დახელოვნების ინდივიდუალური გეგმით მომუშავე მასწავლებლებზე და საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩინოს მათ სათანადო დახმარება;

დ) ყველა ზომა მიიღოს სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიების და სახელოსნოების თვალსაჩინო მასალებით, ხელსაწყო-იარაღებითა და მოწყობილობებით უზრუნველყოფისა და პროგრამით გათვალისწინებული ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების სრულყოფილად ჩატარების მიზნით; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენის სწავლებას და ჰუმანიტარული და ესთეტიკური ციკლის საგნების სწავლების პროცესში თვალსაჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საქმეს; კატეგორიულად აღკვეთოს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების გაუქმების ხარჯზე სკოლებში მრავალცვლიანობის შემცირება;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გამომუშავებას, სხვადასხვა პროფესიებისადმი ინტერესის გაღვივებას, ამ მიზნით დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი სკოლებში შრომითი სწავლების ხარისხის ამაღლებისა და პროფსაორიენტაციო მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სწავლებაში შრომითი პრაქტიკუმების იმ სახეთა დანერგვისათვის, რომელიც რაიონის სასოფლო-სამეურნეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოების ყველაზე საჭირო მანქანა-იარაღების რემონტისა და მართვის შესწავლას ითვალისწინებს: მიაღწიოს იმას, რომ სასკოლო მიწის ნაკვეთზე ფართოდ გაშალონ აგროქიმიური საცდელი მუშაობა;

3) განათლების სამინისტროს ბრიგადის მოხსენებით ბარათში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებელთა მიმართ გაატაროს საჭირო ზომები, დააწესოს მათ მუშაობაზე მტკიცე კონტროლი, ჩააბას ისინი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებებში და თუ ამის შემდეგაც ვერ შესძლებენ მუშაობის გაუმჯობესებას, სათანადო წესის დაცვით განიხილოს საკითხი მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

2 საგნის სუსტი ცოდნისა და თავისი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს მ. წიკლაურს (ღულელების საშ. სკოლა) ე. ჯანგირაშვილს (თიანეთის საშ. სკოლა); დაწყებითი კლასების მასწავლებლებს თ. ჯიმშიტაშვილს (ღულელების საშ. სკ.), ს. თანიაშვილს (ტუშურების საშ. სკ.), თ. გვარიანაშვილს (ხევსურთსოფლის საშ. სკ.)- რუსული ენის მასწავლებელ ვ. ნიკიფოროვს (ღულელების საშ. სკ.); ფიზიკის მასწავლებლებს გ. ჯამაგიძეს (ღულელების საშ. სკ), ზ. ბურაშვილს (ნაქალაქარის საშ. სკ.); ისტორიის მასწავლებლებს ა. მექვაბიშვილს (თიანეთის საშ. სკ.) მ. ჭინჭარაულს (სიონის საშ. სკოლა).

3. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური ღულელების საშუალო სკოლის დირექტორს პ. საგინაშვილს.

4. ღულელების საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში მ. ბექაური, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე ხელმძღვანელობასა და კონტროლს განთავისუფლდეს დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან.

5. ეს ბრძანება და მოხსენებითი ბარათი განხილულ იქნეს რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე; მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს გატარებულ ღონისძიებათა შესახებ მოხსენდეს განათლების სამინისტროს.

6. სკოლების სამმართველომ (აკ. ჩხიკვაძე) ზედამხედველობა დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 16 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

მოხსენებითი ბარათი

თიანეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 12 ოქტომბრის № 602 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

ბრიგადამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორების შ. ლომაძის (ხელმძღვანელი). ვ. ქურციკიძის, დ. მახარაძის, გ. გიორგობიანის, ზ. ლომსიანიძის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაკის გ. ხოშტარიას, შრომითი, პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა რესპუბლიკური კაბინეტის მეთოდისტების—ჰ. თუთბერიძისა და ი. ბერუჩაშვილის შემადგენლობით 1972 წლის 15-დან 23 ოქტომბრამდე შეისწავლა თიანეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 12 ოქტომბრის № 60 ბრძანების შესრულების მიმდინარეობა.

განათლების განყოფილებას (გამგე ე. თურქიშვილი) სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე განხილული აქვს აღნიშნული ბრძანება და დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, ასევე აღნიშნული ბრძანება, განათლების განყოფილების წარმომადგენლის დასწრებით განხილულია რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და უმრავლეს შემთხვევაში დასახულია ქმედითი ღონისძიებანი სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის. განათლების განყოფილებამ, ბრძანების შესაბამისად, შეიწავლა რაიონის ყველა დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლაში (გარდა იმ სკოლებისა, რომლებიც განათლების

სამინისტროს ბრიგადის მიერ იყო შესწავლილი) სასწავლო-აღ-
მზრდელობითი მუშაობა და დასახა ღონისძიებანი გამოვლინებულ
ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. განთავისუფლებულ იქნა ფა-
ნამდებობიდან ტუშურების საშუალო სკოლის დირექტორი და მის
ნაცვლად დაინიშნა უფრო უნარიანი და საქმის მცოდნე მუშაკი.
ამგვარად განათლების განყოფილებასა და სკოლებს გარკვეული
მუშაობა აქვთ ჩატარებული სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი
მუშაობის გაუმჯობესების, საყოველთაო-საშუალო განათლებაზე
გადასვლისათვის მზადების, სასწავლო-დაწესებულებების მატერია-
ლური ბაზის განმტკიცების მიზნით.

სათანადო სიმაღლეზე არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდე-
ლობითი მუშაობა მ. გელოვანის სახელობის თიანეთის საშუალო
სკოლაში (დირექტორი გ. ჭრელოშვილი, დირექტორის მოადგილე
სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ფ. შატბერაშვილი,
ორგანიზატორი რ. იარაჯული). მათ საფუძვლიანად აქვთ ათვი-
სებული სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, გაკვეთი-
ლებზე დასწრებისას არ კმაყოფილდებიან ნაკლოვანებების აღნიშ-
ვნით, არამედ ავლენენ ნაკლოვანებათა მიზეზებსაც და უჩვენებენ
საქმის გაუმჯობესების გზებსაც. სკოლის პედაგოგიური საბჭო იძ-
ლევა პედაგოგების მუშაობის კვალიფიციურ შეფასებას, ახდენს
მასწავლებელთა მუშაობის კოორდინაციას, აყენებს საჭირბოროტო
პედაგოგიურ საკითხებს და ზრუნავს ამ საკითხების სწორად გა-
დაწყვეტისათვის. პედაგოგიურ საბჭოზე სასწავლო მეოთხედების
და წლის ბოლოს გაკეთებულია ჩატარებული მუშაობის ღრმა და
საფუძვლიანი ანალიზი.

ერთგვარად არის გაუმჯობესებული სასწავლო-აღმზრდელო-
ბითი მუშაობა სიმონიანთხევის (დირექტორი კ. პატურაშვილი),
ტუშურების (დირექტორი მ. არჩემაშვილი), ხევსურთსოფლის (დი-
რექტორი მ. ფიცხელაური) საშუალო სკოლებში.

განათლების სამინისტროს ბრძანებიდან არ აქვთ სათანადო
დასკვნები გაკეთებული ღულელების საშუალო სკოლის (დირექტო-
რი პ. საგინაშვილი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდე-
ლობითი მუშაობის დარგში მ. ბექაური, რომლებსაც სასწავლო-
აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამო-
ცხადებული ჰქონდათ საყვედური) პედაგოგიურ კოლექტივს. სკო-
ლაში არ არის დაცული სასკოლო რეჟიმი და დისციპლინა. შემოწ-
მების დროს პირველ გაკვეთილზე არ გამოცხადდა ფიზკულტურის

მასწავლებელი (ორგანიზატორი) გ. სიმონიშვილი, VIII და X კლასებში მშობლიური ლიტერატურისა და ფიზიკის მე-5 გაკვეთილები არ ჩატარებულა.

სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე აღნიშნული ბრძანება არსებითად არაა განხილული. აქ წაკითხულია ბრძანება და მოხსენებითი ბარათი და მიღებულია ორსიტყვიანი დადგენილება—მიღებულ იქნას ცნობად და სახელმძღვანელოდ. მეოთხედებისა და სასწავლო წლის ბოლოს საბჭოს სხდომებზე არაა განხილული ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში სახელმწიფო პროგრამების შესრულების მდგომარეობა, მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მაჩვენებლების ანალიზი კლასებისა და სასწავლო დისციპლინების მიხედვით, მოსწავლეთა წერითი კულტურა, აღმზრდელობითი მუშაობა, შეგნებული დისციპლინის განმტკიცება და სხვა საკითხები. გეგმებში არ არის გათვალისწინებული სკოლის მუშაობის ყველა არსებითი მხარე, მოქმედების კონკრეტული გზები, მუშაობის შინაარსი და პერსპექტივა სამუშაო დროის გარკვეულ მონაკვეთში. არ ხდება გეგმაში გათვალისწინებული საკითხების შესრულება. მაგ. 15 ოქტომბრამდე უნდა შეესწავლათ საკითხი ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ფიზიკის და შრომითი სწავლების მდგომარეობა და განეხილათ პედსაბჭოს სხდომაზე, 16 ოქტომბრისათვის კი საკითხის შესწავლა დაწყებული არ ჰქონდათ.

მეთოდურად გაუმართავად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი. სასწავლო დღეები თანაბარი სიძლიერის საგნებით არ არის დატვირთული, ერთსაათიანი დისციპლინები მე-6 გაკვეთილად არის მიცემული, ერთფეროვანი საგნები—მათემატიკური დისციპლინები ან ენები ცხრილში მიჯრით არის მოქცეული, საგნების სახელწოდებები ზუსტად არაა შეტანილი და ა. შ.

შინაასკოლო კონტროლი არ ატარებს გეგმიან, მიზანდასახულ და სისტემატურ ხასიათს. დირექტორს პ. საგინაშვილს მცირე რაოდენობით აქვს მოსმენილი გაკვეთილები, ხოლო დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მ. ბექაური არ ზრუნავს სრულყოფილად დაეუფლოს სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, საქმის ცოდნით მოახდინოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესრულების შემოწმება, და უზრუნველყოს საჭირო ღონისძიებების გატარება სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის. მის მიერ მასწავლებელთათვის მიცემული მითითებანი ატარებენ შაბლონურ, ფორმალურ ხასიათს, იგი ვერ წვდება იმას,

თუ როგორ ახერხებს მასწავლებელი პროგრამით გათვალისწინებული დასამუშავებელი მასალის გადაცემას მოსწავლეებისათვის, რა უჭირს, რა სიძნელეებს აწყდება მუშაობის პროცესში, კონკრეტულად ვერ ეუბნება მასწავლებელს ნაკლზე და ვერ უჩვენებს ამ ნაკლის გამოსწორების გზებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეული ნაკლოვანებები ახასიათებს შინასასკოლო კონტროლისა და ხელმძღვანელობის, სკოლის გეგმიანობის, პედაგოგიური საბჭოს, მეთოდური მუშაობისა და სასკოლო მუშაობის სხვა დარგებში ხევსურთსოფლის (დირექტორი მ. ფიცხალაური, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში გ. ბუჯიაშვილი), ტუშურების (დირექტორი მ. არჩემაშვილი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში დ. დოლიაშვილი), სიმონიანთხევის (დირექტორი კ. პატურაშვილი, დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ნ. დავითაშვილი) საშუალო სკოლებს.

ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლება იძლევა შემდეგ სურათს:

მიმდინარე სასწავლო წელი დაწყებითი კლასების ზოგიერთ მასწავლებელს დაუწყია ახალი პროგრამის საფუძვლიანი შესწავლით, ცდილა ამის მიხედვით გარდაექმნა თავისი მუშაობა, მეტი ადგილი დაეთმო სწავლებაში აქტიური მეთოდებისა და ხერხებისათვის.

კარგად ასწავლიან ქართულ ენას თიანეთის საშუალო სკოლის მასწავლებლები: მ. ჭეიშვილი და მ. არაბული. აღნიშნული მასწავლებლები მრავალფეროვან, საინტერესო გაკვეთილებს ატარებენ. მოხერხებულად იყენებენ თვალსაჩინოებას, გამომეტყველებითი კითხვით ემოციურად მიაქვთ ნაწარმოების შინაარსი მოსწავლეებამდე, ამუშავებენ მოსწავლეებს უცნობი სიტყვებისა და ცალკეული გამოთქმების გაცნობიერებისათვის. შესწავლილ მასალას იყენებენ როგორც მეტყველების, ისე შინაარსობრივი და идеურ ანალიზისათვის, მოხერხებულად უკავშირებენ გრამატიკულ მასალას ტექსტზე მუშაობას.

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ქართულ ენას თ. დოლიაშვილი, ა. კბილცეცხლაშვილი (სიმონიანთხევის საშ. სკოლა), ქ. სისაური, ე. მგელიაშვილი (ტუშურების საშ. სკოლა), ე. კენკიშვილი, ზ. კენკიშვილი (ხევსურთსოფლის საშ. სკოლა).

არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან ქართულ ენას მასწავლებლები: თ. ჯიმშიტაშვილი (ღულელების საშ. სკოლა) და ს. ნინიაშვილი (ტუშურების საშ. სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელებული მასწავლებლები არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, მათი გაკვეთილები უფერული და მოსაწყენია, არ მუშაობენ მოსწავლეთა ლექსიკური ფონდის გამდიდრებაზე, არ განმარტავენ და ზოგჯერ არასრულყოფილად უხსნიან მოსწავლეებს მათთვის უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს, ყურადღებას არ აქცევენ მხატვრულ, გამომეტყველებით კითხვას, სწავლებაში სრულებით არ იყენებენ თვალსაჩინოებას, გრამატიკას ასწავლიან ლიტერატურული მასალიდან მოწყვეტით, შესწავლილ ლიტერატურულ ტექსტს არ იყენებენ მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლებისა და ესთეტიკური და ხნეობრივი აღზრდისათვის.

მასწავლებელი თ. ჯიმშიტაშვილი I—III კლასებს ასწავლის. იგი სრულებით არ არის დაუფლებული ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის ძირითად პედაგოგიურ-მეთოდურ ხერხებს. ვერ ტვირთავს კლასს მიზნობრივი დამოუკიდებელი სამუშაოებით, რის გამოც მოსწავლეები საკმაო დროის მანძილზე უსაქმოდ სხედან გაკვეთილებზე. პედაგოგმა III კლასის მოსწავლეებს წერით დამოუკიდებელ სამუშაოდ ისეთი მასალა მისცა, რომელიც მათ უკვე შესრულებული ჰქონდათ და მხოლოდ მას შემდეგ შეცვალა დავალება, რაც მოსწავლეებმა შეახსენეს. 22 წუთის განმავლობაში კითხულობდნენ III კლასის მოსწავლეები ტექსტს, ხოლო მასწავლებელი ამ დროის განმავლობაში დაუხაზავ დაფაზე ავარჯიშებდა I კლასის მოსწავლეებს. I კლასელებს დამოუკიდებელ სამუშაოდ მისცა 4 მაგალითი (9—2, 3—2, 5+2, 6+2), რომლის ამოხსნას მათ 20 წუთი მოანდომეს. III კლასში მასწავლებელი შეეცადა აეხსნა ახალი მასალა, გაკვეთილის დამთავრებას კი 10 წუთიღა აკლდა. მან მხოლოდ ტექსტის წაკითხვა მოახერხა და სრულიად აუხსნელი და გაუცნობიერებელი მასალა მისცა მოსწავლეებს შინ დასასწავლად.

დაბალი პედაგოგიური კულტურა და ცოდნა აქვს მასწავლებელ ს. თანიაშვილს. იგი ვერ ახერხებს მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებას, თვით უშვებს შეცდომებს. მასწავლებელი ერთმანეთისაგან ვერ არჩევს ბრუნვასა და ბრუნებას, სვამს გაუმართავ კითხვებს, ასე მაგალითად: „III ბრუნება რა არის“?, „ვინ დაწერავს?“, „რა მოხდა ერთხელ მტრის თვითმფრი-

ნავის მიერ?“ და სხვ. ახალი მასალის—ა. ლომიძის „პატარა გმირის“ ახსნასთან დაკავშირებით, ძალზე სუსტია საუბარი ჩაატარა. რის შემდეგაც წაიკითხა ტექსტი შეცდომებით, არავითარი ბისაგან სახის მუშაობა არ ჩაუტარებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლების თ. ჯიმშიტაშვილისა და ს. თანიაშვილის სუსტი მუშაობის შესახებ გასულ წლის შემოწმებისასაც იქნა აღნიშნული, მაგრამ ისინი მაინც უპასუხისმგებლოდ განაგრძობენ მუშაობას.

კარგად არის დაყენებული მათემატიკის სწავლება ღულელების საშ. სკოლის II კლასში (მასწავლებელი პ. არაბული) და ტუშურების საშ. სკოლის მოსამზადებელ კლასში (მასწ. ა. მამულაშვილი). აღნიშნული მასწავლებლები კარგად არიან დაუფლებული მათემატიკის სწავლების მეთოდებს, დროულად და მოხდენილად იყენებენ თვალსაჩინოებას, სრული დატვირთვით ამუშავებენ მოსწავლეებს.

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან მათემატიკას ქ. ჯაშიაშვილი (თიანეთის საშ. სკოლა) და თ. დოლიაშვილი (სიმონიანთხევის საშ. სკოლა).

დაბალ დონეზე ასწავლიან მათემატიკის მასწავლებლები: თ. გვარიანაშვილი (ხევსურთსოფლის საშ. სკოლა), შ. ზასეიშვილი (სიონის საშ. სკოლა), ისინი ვერ ერკვევიან ახალი პროგრამების შინაარსში, ვერ ფლობენ სწავლების მეთოდიკას, ანგარიშს არ უწევენ მასალის დალაგების ახალ სისტემას, სახელმძღვანელოდან არჩევენ ერთფეროვან მასალას, არღვევენ მასალის მიწოდების თანმიმდევრობას, ამიტომ არის, რომ გაკვეთილები ძალზე ერთფეროვანია, მოსწავლეები უხალისოდ გრძნობენ თავს გაკვეთილზე, ნაკლებად მონაწილეობენ სწავლების პროცესში.

შინაარსიანი გაკვეთილი ჩაატარა ბუნებისმცოდნეობაში (II კლასი) სიმონიანთხევის საშუალო სკოლის მასწავლებელმა თ. დოლიაშვილმა. მან გაკვეთილი სასწავლო ნაკვეთზე ჩაატარა. განვლილი მასალის საფუძვლიანი გამოკითხვის შემდეგ მასწავლებელი გადავიდა ახალი მასალის ახსნაზე—ყვავილოვანი მცენარის გარეგანი აგებულება და მათი სასიცოცხლო პირობები.

მასწავლებლის ენერგიული მუშაობის შედეგად მოსწავლეთა ცოდნა კლასში დამაკმაყოფილებელია.

საკლასო-საკონტროლო რვეულების შემოწმებით დადასტურდა, რომ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა კალიგრაფია ძირი-

თადად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ საკონტროლო და საშინაო
რვეულებში ვხვდებით ორთოგრაფიულ, სტილისტურ და პუნქტუა-
ციურ შეცდომებს, რომლებსაც მასწავლებლები ვერ ამჩნევენ
საც ამჩნევენ, მხოლოდ ხაზის გასმით აღნიშნავენ და არ ავარჯი-
შებენ მოსწავლეებს მათ გამოსწორებაზე, ზოგიერთი მასწავლებელი
არ იცავს საკონტროლო წერის ნორმებს და სახეებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაწყებითი კლასების მეთოდაერთიანების გეგმებში არ არის
ლაპარაკი სწავლების სიახლეებზე, აღზრდის საკითხებზე, გვერდი
აქვს ავლილი სწავლებაში ტექნიკური საშუალებების გამოყენებას.
გეგმაში ვხვდებით ზოგად საკითხებს; ასე მაგალითად: როგორ ვა-
სწავლით ქართული ენის გრამატიკას დაწყებით კლასებში. ხევ-
სურთსოფლის დაწყებითი კლასების მეთოდაერთიანების გეგმაში
საკითხი მოსწავლეთა ათეისტურ აღზრდაზე ორჯერ არის შე-
ტანილი.

ქართულ ენასა და ლიტერატურას კარგად ასწავლიან: გ. ჭრე-
ლოშვილი (თიანეთის საშ. სკოლა), ო. ლევერაშვილი (სიმონიანთ-
ხევის საშ. სკოლა), ლ. ზურაბიშვილი (სიონის საშ. სკოლა). აღ-
ნიშნული პედაგოგები გულდასმით ემზადებიან გაკვეთილებისათვის
სრულყოფენ თეორიულ ცოდნასა და მეთოდურ დახელოვნებას. ამის
შედეგად, მათი მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ფლობენ პრო-
გრამულ მასალას, წერისა და ზეპირი მეტყველებისას ამჟღავნებენ
საკმაო წიგნიერებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, თიანეთის რაიონის
რიგ სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების
საქმეში სერიოზული ხარვეზებია.

განათლების სამინისტროს ბრიგადის მიერ ჯერ კიდევ გასულ
წელს იქნა შემოწმებული თიანეთის რაიონის ზოგადსაგანმანათ-
ლებლო სკოლების მუშაობა. მასწავლებლებს—მ. წიკლაურს (ღუ-
ლელების საშ. სკოლა), ე. ჯანჭირაშვილს (თიანეთის საშ. სკოლა),
თ. მამულაშვილს (ტუშურების საშ. სკოლა) თავის დროზე მიეცათ
შენიშვნები და საჭირო რჩევა-დარიგება, რომლის გათვალისწინე-
ბის შემთხვევაში ძირეულად შეიცვლებოდა მათი მუშაობა, მაგრამ
როგორც ჩანს, აქედან სათანადო დასკვნები ვერ გამოუტანიათ.
შემოწმებამ მათს მუშაობაში კვლავ გამოავლინა სერიოზული ნაკ-
ლოვანებანი.

მ. წიკლაურმა გაკვეთილი დაბალ მეთოდურ და თეორიულ
დონეზე ჩაატარა. არ იგრძნობოდა ოდნავი სურვილიც კი, რომ
მეთოდურად სწორად წარემართა მეცადინეობა. ცუდად ჩატარდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაწვლილი მასალის გამოკითხვა, ხოლო ახალი მასალის ახსნა დაიწყო ყოველგვარი მომზადების გარეშე.

მ. წიკლაური, საერთოდ არ ამოწმებს მოსწავლეთა საშინაო დავალებებს, რის გამოც ნაწერებში ხშირია უხეში შეცდომები. საშინაო დავალების რვეულები ცუდად მოვლილი და გაუფორმებელია.

აღნიშნული მასწავლებლის მუშაობაში არსებულ ნაკლს ისიც განაპირობებს, რომ იგი, საერთოდ, არ ადგენს დღიურ გეგმებს.

მეთოდური დახელოვნება და თეორიული ცოდნა აკლია მასწავლებელ ე. ჯანგირაშვილს. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა მისმა გაკვეთილმა V კლასში. ახალი მასალის (ა. აბაშელის „ახალ საქართველოს") გადაცემისას მასწავლებელმა ტექსტის განმარტების ოდნავი უნარიც ვერ გამოამჟღავნა. მან, წაიკითხა რა ა. აბაშელის აღნიშნული ლექსი, იგი ასეთი „კომენტარებით" შეამკო: „მყინვარწვერი ამობურცული ადგილია.. „თოვლის თეთრი თაველი ესეც ამობურცული ადგილია..." „საქართველო ვეფხის ტყავივით ზოლიანია..." „ორბი ცხოველია (!), უმთავრესად იკვებება ხორცით და ტვინით..." „ნედლია მიწა, როცა ცოცხალია, როცა სიცოცხლე დუღს, საქართველოში ყველაფერი სანოვაგე მოდის..." „რვალი— ფოლადზე მაგარია, გამძლე რკინასავით..." და ა. შ.

მასწავლებელი, ამასთან ერთად, კლასს აძლევს ისეთ უაზრო კითხვებს, რომელზედაც არამცთუ პასუხის გაცემა, რაიმე აზრის გამოტანაც კი ჭირს, მაგალითად, „აბა რომელი პოეტი აქვს აქ მოცემული, როგორც ბრწყინვალე პროზაიკოსი?"

ანალოგიური შეცდომებით ჩატარდა გაკვეთილი VIII კლასში. მასწავლებელმა აქაც მრავალი მეთოდური ხასიათის შეცდომა დაუშვა და თეორიული მასალის ძალზე სუსტი ცოდნა გამოამჟღავნა.

ე. ჯანგირაშვილი წერით ნამუშევრებსაც ძალზე არაკვალიფიციურად ამოწმებს, ხშირია შეცდომების გაპარვა, ზოგჯერ კი მართებული ნაწერის შეცდომად მიჩნევა. მას ზოგიერთ ნამუშევარში მხოლოდ 1—2 შეცდომა შეუნიშნავს, დამატებით კი 16—18 შეცდომა აღმოჩნდა.

სრულყოფისაგან ძალზე შორსაა თ. მამულაშვილის (ტუშურების საშ. სკოლა) მუშაობა. მართალია, წინა შემოწმების შემდეგ მდგომარეობა ნაწილობრივ გამოუსწორებია, მაგრამ ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც სხვა მიზეზებთან ერთად, მასწავლებლის ასაკითაც შეიძლება აიხსნას.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ თიანეთის რიგ სკოლებში სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან მოსწავლეთა ზეპირ მეტყველებას, დაბალია წერის კულტურაც. წერითი საშინაო დავალებები მოწმდება ზერელედ, უგულისყუროდ.

მასწავლებლები გაკვეთილებზე არ იყენებენ თვალსაჩინოებას, ზოგ სკოლაში წარმოდგენაც არ აქვთ ფონოქრესტომათიაზე, რომლის წარმატებით გამოყენება შეიძლება ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის მეთოდური სექციის მუშაობის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა ისეთ სამუშაოთა შესრულებას, რომელიც ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს ითვალისწინებს.

კარგად მუშაობენ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ლ. ღვინიაშვილი, ე. ლუკავა (თიანეთის საშ. სკოლა), ნ. სააკიანი (ხევსურთსოფლის საშ. სკოლა), კ. მგელიაშვილი (ტუშურებისის საშ. სკოლა), ისინი კარგად ფლობენ საგანს, გულდასმით ემზადებიან გაკვეთილებისათვის, იყენებენ სწავლების აქტუალურ მეთოდებს და სისტემატურად სრულყოფენ თავიანთ პედაგოგიურ ოსტატობას. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სალექსიკონო მუშაობას, მოსწავლეთა მეტყველების განვითარებას აღნიშნული მასწავლებლები საჭირო ყურადღებას აქცევენ ალმზრდელობით მუშაობას, ფართოდ იყენებენ თვალსაჩინოებას სწავლებაში.

მასწავლებლებმა ი. ბაბაევამ (ღულელების საშ. სკოლა), თ. შავარდაშვილმა, გ. ფიცხალაურმა (სიმონიანთხევის საშ. სკოლა), ა. კუბატოვამ (ტუშურების საშ. სკოლა), ლ. ზურაბაშვილმა. (სიონის საშ. სკოლა) იციან საგანი, მაგრამ არ იყენებენ სწავლების უფრო აქტუალურ მეთოდებს, მოსწავლეთა მომზადების დონეც დამაკმაყოფილებელია.

რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ვ. ნიკიფოროვს (ღულელების საშ. სკოლა), ს. დიდებაშვილს, რ. ბაიაშვილს (ხევსურთსოფლის საშ. სკოლა), ვ. სუხიაშვილს (ტუშურების საშ. სკოლა) არ აქვთ სპეციალური განათლება, სუსტად ფლობენ საგანს და მისი სწავლების მეთოდებს, მეტყველებაში უშვებენ შეცდომებს, ატარებენ ერთფეროვან და უინტერესო გაკვეთილებს, არ არის დაცული წერის ნორმები და სახეები, გულდასმით არ

ასწორებენ საკონტროლო და საშინაო წერის რვეულებს, მათ მიერ გასწორებულ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში გაპარულია შეცდომები, სწავლებაში ნაკლებად იყენებენ თვალსაჩინოებას, დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მეტიც, ვ. ნიკიფოროვი უპასუხისმგებლოდ ეკიდება დაკისრებული საქმის შესრულებას, მას არასაპატიო მიზეზით გაცდენილი აქვს 20 გაკვეთილი.

კარგად მუშაობენ მათემატიკის მასწავლებლები: დ. ყეინიშვილი, თ. მთვარელაშვილი, ფ. შატბერაშვილი (თიანეთის საშ. სკოლა), ჯამაგიძე (ღულელების საშ. სკოლა), ა. გურგენაშვილი (სიმონიანთხევის საშ. სკოლა).

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მათემატიკის მასწავლებლები ქ. ხუმარაშვილი (ღულელების საშ. სკოლა), გ. კალანდაძე, ნ. ხიბლაშვილი (ხევსურთსოფლის საშ. სკოლა).

ხევსურთსოფლის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს გ. კალანდაძეს შემოწმების დღისათვის გათვალისწინებული ჰქონდა (VIII კლასში) გეომეტრიაში საკონტროლო წერის ჩატარება, წერისათვის შერჩეული ჰქონდა ამოცანები ორ ვარიანტად: ვერცერთმა მოსწავლემ ვერ გადაწყვიტა ამოცანა და ყველამ შეფასება „არადამაკმაყოფილებელი“ მიიღო. უნდა დავასკვნათ, რომ თემა—პროპორციული მონაკვეთები, რომელზედაც ჩატარდა საკონტროლო წერა, კლასს არ ჰქონდა შესწავლილი.

დაბალ დონეზე იდგა ამავე მასწავლებლის მიერ IV კლასში ჩატარებული მათემატიკის გაკვეთილიც, ცუდად არის ნაწარმოები IV კლასის მოსწავლეთა საშინაო და საკლასო დავალების რვეულები, არ წარმოებს მასწავლებლის მიერ მათი სისტემატური შემოწმება და გასწორება. იგი დამწყები მასწავლებელია, აკლია დახელოვნება და გამოცდილება, თუ ამთავითვე არ იზრუნა პედაგოგიური დაოსტატებისათვის, საეჭვო იქნება, რომ მან მათემატიკის მასწავლებლობა შესძლოს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ნ. ხიბლაშვილი, მან სუსტად იცის საგანი და მისი სწავლების მეთოდები, ძალზე დაბალ დონეზე ჩაატარა V^1 და V^2 კლასებში მათემატიკის და VI კლასში გეომეტრიის გაკვეთილები. VI კლასის მოსწავლეებმა არ იციან ბისექტრისის, სხივის, მონაკვეთის განსაზღვრა, მოსწავლეთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ კუთხის სიდიდე კუთხის გვერდების სიგრძეზეა დამოკიდებული. მასწავლე-

ბელი სწორად ვერ გეგმავს და ვერ ატარებს გაკვეთილებს, ეფექტიანი ბიბლიოთეკა
გაკვეთილზე ახალი მასალის ახსნას ხუთ წუთზე ნაკლები დრო დაუთმო. VI კლასში ახალი მასალის ახსნა დაიწყო მაშინ, როცა ზარის დარეკვამდე 3 წუთი იყო დარჩენილი.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ღულელების საშუალო სკოლის მასწავლებელი ქ. ხუმარაშვილი, მისი მუშაობა გასულ 1971—1972 სასწავლო წელსაც იყო შესწავლილი, მას გარკვეული დასმარება გაეწია და სათანადო მითითებანიც მიეცა, აქედან მან სათანადო დასკვნა არ გამოიტანა და კვლავ არასაკმაოდ მუშაობს თავის თავზე, არ ემზადება გაკვეთილებისათვის და დაბალ დონეზე ატარებს მათ.

V კლასში, სადაც მასწავლებელს ახალი პროგრამით და ახალი სახელმძღვანელოთი უხდება მუშაობა, მოუმზადებელი მოვიდა გაკვეთილზე, მას გაკვეთილის გეგმაც კი არ ჰქონდა შედგენილი და ცხადია, დაბალ დონეზე ჩაატარა გაკვეთილი, კლასმა სუსტად იცის განვლილი მასალა. ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შეძლო პროცენტებზე მარტივი ამოცანის გადაწყვეტა, მოსწავლეებს არ ჰქონდათ მომზადებული საშინაო დავალება და, საერთოდ, ცუდად არის ნაწარმოები საშინაო და საკლასო დავალების რვეულები. მოსწავლეები არ არიან შეჩვეული დამოუკიდებელ მუშაობას, ძალზე დაბალია საკონტროლო სამუშაოების ხარისხიც, მოსწავლეებს ფურცლებზე აქვთ ჩატარებული საკონტროლო წერები, ზოგ შემთხვევაში, მათზე მოსწავლის გვარი და სახელიც არ არის აღნიშნული და მასწავლებელი ნამუშევრის ავტორის ამოცნობას მოსწავლის კალიგრაფიის საშუალებით ცდილობს, მაგრამ ამაოდ.

არის შემთხვევები, როცა საკონტროლო წერისათვის მოცემულ მაგალითებსა და ამოცანებში შეცდომებია დაშვებული. დაბალ დონეზე იყო VIII კლასში ჩატარებული ალგებრის გაკვეთილი. კლასს გაკვეთილად მიცემული ჰქონდა თემა—„კვადრატული ფესვი და მისი არითმეტიკული მნიშვნელობა". ამ მასალაზე არავითარი სავარჯიშო მაგალითები არ მიუცია მასწავლებელს, მოსწავლეებმა ცუდად იცოდნენ გაკვეთილი, ზერელე წარმოდგენა აქვთ ფესვის არითმეტიკულ მნიშვნელობაზე. ვარჯიშის დროს, როდესაც დაფაზე ერთ-ერთი მოსწავლე წყვეტდა მაგალითს, შეცდომები იქნა დაშვებული. მასწავლებელი შეცდომებს ვერ ასწორებს.

თიანეთის საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელი შ. მადურაშვილი დიდი მონდომებით ეკიდება დაკისრებული მოვალეობის

შესრულების საქმეს. მოწყობილია ფიზიკის კაბინეტი თანამედროვე მოთხოვნილებების დონეზე, მისთვის გამოყოფილი ორი ოთახ-ბინა სებულია საჭირო დგამ-ავეჯით და ხელსაწყო-იარაღებით, კარგად ხდება მათი გამოყენება სწავლების პროცესში, მასწავლებელი ფიზიკის საპროგრამო მასალას საფუძვლიანად ფლობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიანეთის საშ. სკოლის VI კლასების ფიზიკის მასწავლებელი ტ. ყურშავიშვილი (სპეციალობით ქიმიკოსი) სუსტად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. მას არ შეუძლია ასწავლოს ფიზიკა VI კლასებში.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა სიონის (მასწ. გ. ბაღდავაძე), ხევსურთსოფლის (მასწ. ვ. ჯამაგიძე), ტუშურების (მასწ. თ. ოტიაშვილი) საშუალო სკოლებში. ფიზიკის გაკვეთილები, დატვირთვის შევსების მიზნით, განაწილებულია მათემატიკის მასწავლებლებს შორის, ხოლო ტუშურების საშუალო სკოლის IX კლასში ფიზიკას ასწავლის დამწყები პედაგოგი თ. ოტიაშვილი, რომელმაც წელს დაამთავრა თელავის პედ. ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტი. მას არ გააჩნია სათანადო ცოდნა ფიზიკის სწავლებისათვის, იგი ვერ ახერხებს გაკვეთილის ახსნას და მოსწავლეთა მომზადების დონე ძალზე დაბალია.

ზემოთ აღნიშნული მასწავლებლები არ ზრუნავენ საკუთარი ცოდნის დონის ამაღლებაზე, არ იცნობენ ფიზიკის პროგრამებში უკვე დიდი ხნის წინ მომხდარ ცვლილებებს, არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, ამიტომაც მათი გაკვეთილები დაბალ მეცნიერულ დონეზე მიმდინარეობს.

ასევე არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა ღულელების (მასწ. გ. ჯმაგიძე) და ნაქალაქარის (მასწ. ზ. ზურაბიშვილი) საშუალო სკოლებში. მოსწავლეები სუსტად ფლობენ განვლილ მასალას, რის ძირითად მიზეზს წარმოადგენს მასწავლებლების გულგრილი დამოკიდებულება მათზე დაკისრებული მოვალეობისადმი. ასე, მაგალითად, მასწ. მ. ჯამაგიძე ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამოცანებზე ვარჯიშს, რასაც მოწმობს მოსწავლეთა დავალების რვეულების შემოწმება, მაგ. VIII კლასში მოსწავლეებს შემოწმების დღისათვის ამოხსნილი ჰქონდათ მხოლოდ ხუთი მარტივი ამოცანა და აქედან უმეტესობა მცდარად იყო შესრულებული. მასწ. მ. ჯამაგაძემ ზერელედ შეამოწმა დავალების რვეულები და ჩათვალა, რომ იგი მოსწავლეებს შესრულებული ჰქონდათ, მაშინ, როცა მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს ამოცანა შეცდომით ჰქონდა ამოხსნილი. ამავე კლასში იყო შემთხვევა, როცა მოსწავლემ სიჩ-

ქარის საანგარიშებელი ფორმულა მცდარად დაწერა დათაბე, მაგრამ მასწავლებელმა არ შეუსწორა იგი ($V = \sqrt{U_0 + gt^2}$) მოყვა მეორე შეცდომა ($V = \sqrt{gt^2}$).

ნაქალაქარის საშუალო სკოლის მასწ. ზ. ზურაბაშვილს გააჩნია ხარვეზები საგნის სწავლების საქმეში. მოსწავლეები ცუდად ფლობენ გავლილ საკითხებს. არ აქვთ უნარი ამოხსნან მარტივი ამოცანებიც კი, რადგანაც მათ ამოცანებზე ნაკლებად ავარჯიშებენ.

ახალი მასალის ახსნის დროს შეინიშნება, რომ ამხ. მ. ჯამაგიძეს და ზ. ზურაბაშვილს, სხვა ზემოთ ჩამოთვლილ მასწავლებლებთან შედარებით, შესწევთ უნარი უფრო შედეგიანად ასწავლონ ფიზიკა, მაგრამ ისინი უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

შემოწმებულ სკოლებში შეიმჩნევა ერთი საერთო ნაკლი: არ ექცევა ყურადღება სკოლებში მატერიალური ბაზის შექმნას და არსებულის მოვლას.

ტუშურების (კაბინეტის გამგე ამხ. თ. ოტიაშვილი, ლაბორანტი ლ. ბაგაშვილი), ლულელების (კაბინეტის გამგე მ. ჯამაგიძე, ლაბორანტი ე. საგინაშვილი), ხევსურთსოფლის (კაბინეტის გამგე ვ. ჯამაგიძე), სიონის (კაბინეტის გამგე გ. ბაღდავაძე, ლაბორანტი ნ. გოჯიაშვილი) ფიზიკის კაბინეტები არ არის წესრიგში, კაბინეტები არ არის უზრუნველყოფილი დგამ-ავეჯით და ხელსაწყო-იარაღებით, არ ხდება მათი შევსება ახალი ხელსაწყოებით. ხოლო ის, რაც გააჩნია კაბინეტებს—მოუვლელია. არსებული ხელსაწყო-იარაღები დარგების მიხედვით არ არის დალაგებული და არ არის მოწესრიგებული მათი აღრიცხვის საქმე. ამ სკოლებში თითქმის არ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს კინოს, საპროექციო აპარატს, ფილმოსკოპს და სხვ. ასე, მაგალითად, ამ სკოლებში ამ სასწავლო წელს არ უჩვენებიათ არც ერთი სასწავლო ფილმი.

დაბალ დონეზეა დაყენებული მოსწავლეთა წრეობრივი მუშაობა, ხოლო სიონის საშ. სკოლაში ფიზიკის წრე საერთოდ არ არის შექმნილი. იქ, სადაც ასეთი წრე არსებობს, გეგმაში შეტანილია საპროგრამო-მარტივი საკითხები.

ცუდად მუშაობს ფილმოტეკა (გამგე ქ. მექვაბიშვილი). იგი მოთავსებულია რაიონის ცენტრში და უჭირავს საკმაოდ დიდი ფართობი (100 კვ. მ), აქედან ერთი ოთახი გამოყოფილია ფილმების სადემონსტრაციოდ, სადაც ყველა პირობაა შექმნილი მათ მაღალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონეზე ჩვენებისათვის, ხოლო მეორე ოთახში მოწყობილია ფილმების საწყობი. ამ საწყობში ვერ მოუხერხებიათ თაროების გაკეთება ან კარადის შეძენა, სადაც ახალი ფილმები ნორმალურად მოთავსდება.

დღეისათვის ფილმოტეკას აქვს 300 დასახელების ფილმი, მაგრამ ახლად შეძენილი ფილმები შემოწმების დღისათვის კატალოგში შეტანილი არ იყო. უმრავლეს სკოლებში აქვთ ძველი კატალოგები, სადაც მხოლოდ 180 ფილმია მოხსენებული. სკოლების უმრავლესობას ღღემდე არ უსარგებლია ამ ფილმოთეკით მიუხედავად იმისა, რომ სკოლებს გააჩნიათ ფილმების დემონსტრირების საშუალება. მაგალითად, დღემდე არც ერთი ფილმი არ გაუტანიათ ფილმოთეკიდან სოფ. ნაქალაქარის საშუალო, ზარიძეების, ბოჭორმის რვაწლიან და სხვ. სკოლებს.

ფილმოთეკაში არ არის ჩამოყალიბებული პედაგოგთა აქტივი. არ ხდება ახლად მიღებული ფილმების დროულად გარჩევა და მათი კატალოგში შეტანა. დიათეკა-ფილმოთეკაში შექმნილი არ არის დიაფილმები. ამბ. ქ. მექვაბიშვილს გადაუცია სკოლებისათვის, მაგრამ, საუბედუროდ დიათეკები არც სკოლებში არის ჩამოყალიბებული.

დაბალ დონეზე ასწავლის ქიმიას ნაქალაქარის საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. წიქარაძე, რომელიც მოსწავლეებს ვერ აძლევს საგნის ცოდნას. IX კლასის მოსწავლეებმა სუსტად იცოდნენ გაკვეთილი—„ჰიდროჟანგების თვისებების ცვლა ცენტრალური ატომის რადიუსისა და იონის მუხტის შეცვლასთან დაკავშირებით". მათ ვერ ახსნეს ლითიუმის ჰიდროჟანგის ტუტოვანი თვისებები ბერილიუმის ჰიდროჟანგთან შედარებით, არ იციან მჟავას ცენტრალური ატომის მუხტის გავლენის შესახებ. ცუდად აქვთ ათვისებული ადრე შესწავლილი მასალაც, დაბალია X კლასის მოსწავლეთა ცოდნაც. ბევრმა არ იცის ორგანულ ნაერთთა აღნაგობის თეორიის ძირითადი დებულებები, პოლიმერიზაციის რეაქციები, უშვებენ შეცდომებს ნაერთთა ფორმულების შედგენაში, იზომერების ფორმულების გამოყვანაში, ვერ არჩევენ მოლეკულურ წონას გრამმოლეკულური წონისაგან და სხვ.

მასწავლებელი ვერ ამჩნევს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს, ხოლო ზოგჯერ თვითონ უშვებს უხეშ შეცდომებს, მაგალითად, მან არასწორად დაუსახელა მოსწავლეებს პროპილენის სახელწოდება საერთაშორისო ნომენკლატურით; არასწორად და-

წერა ამილენის ფორმულა, ხოლო მის იზომერად ჩათვალა 2-მეთილ ამილენ-3, რომლის ფორმულა, აგრეთვე არასწორად დაწერა. მეგ-დომით დაწერა მასწავლებელმა ბუთილენის ცის—და ტრანს-იზომერების ფორმულებიც, ბევრ შემთხვევაში მასწავლებელი არასწორად სვამს კითხვებს: „რა იონებად დისოცირდება მჟავები"?, „ფუძეების თვისებები რაღაა?" „რა თვისებები აქვს მჟავას?" და სხვა. X კლასში ახალი მასალის ახსნის დროს არ იქნა გაშუქებული სივრცითი იზომერიის არსებობის მიზეზები. IX კლასში ასახსნელი ახალი მასალა—„ჰიდროჟანგებისა და მარილების ქიმიური თვისებები ელექტროლიტური დისოციაციის თეორიის მიხედვით" მოიცავს VII—VIII კლასებში შესწავლილი მასალის განმეორება-გაღრმავებას, ზოგიერთი ახალი მასალის (მარილების ქიმიური თვისებები) დამატებით. მასწავლებელმა ორნაწილად გაყო თემა და მოსწავლეებს ესაუბრა მხოლოდ ადრე შესწავლილ მასალაზე; ახალი საკითხები—მასალების ქიმიური თვისებები და ამფოტერული ჰიდროჟანგები, მეორე გაკვეთილისათვის გადადო, რაც მიზანშეწონილი არ არის.

სიმონიანთხევის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა ვ. ცოცხალაშვილმა დამაკმაყოფილებლად იცის საგანი, მონდომებით მუშაობს, ხშირად ატარებს სადემონსტრაციო ცდებს, მაგრამ იგი დაუფლებული არ არის საგნის სწავლების მეთოდებს: ვერ აბამს მოსწავლეებს მუშაობაში, ერიდება ძნელად ასათვისებელი საკვანძო საკითხების გარჩევას, კლასის წინაშე სვამს მარტივ და ადვილ კითხვებს, ვერ ქმნის კლასში პრობლემურ სიტუაციას, სათანადო ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების ანალიზს. ამის შედეგია ის, რომ მოსწავლეთა ცოდნა დაბალია, ისინი უხეშ შეცდომებს უშვებენ საშინაო დავალების შესრულებისა და გაკვეთილის მოყოლის დროს. IX კლასში თემის —„ელექტროლიტური დისოციაციის თეორია" ირგვლივ უნდა ჩატარებულიყო მიმოხილვითი საუბარი, განმეორების გზით აღმოფხვრილიყო ხარვეზები მოსწავლეთა ცოდნაში, ჩატარებულიყო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაო და საკონტროლო წერა, შემდეგ გადასულიყვნენ ახალ თემაზე. საამისოდ დრო მასწავლებელს ჰქონდა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა და გადავიდა ახალ თემაზე—„აზოტი და ფოსფორი". მსგავსი ხარვეზებით ჩატარდა გაკვეთილი X კლასში.

ხარვეზებით ხასიათდება საგნის სწავლება ხევსურთსოფლისა (შემცვლელი მასწავლებელი ს. დიდებაშვილი) და თიანეთის (მ. სწ. ს. იმერლიშვილი) საშუალო სკოლებში, - რაც იმის შედეგია, - რომ მასწავლებლები სრულყოფილად არ არიან დაუფლებული საგნის სწავლების მეთოდებს და ვერ იჩენენ სათანადო მოძთხოვნელობას მოსწავლეთა მიმართ, ნაკლებ დროს უთმობენ ახალი მასალის ახსნას და მის განმტკიცებას.

შემოწმებულ სკოლებში ქიმიის სწავლებაში შემჩნეული ნაკლოვანებები იმითაც არის გამოწვეული, რომ ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დანერგილი სწავლებაში ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები, გაკვეთილებზე არ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს, უურადღებას არ აქცევენ საკონტროლო წერების ჩატარებას. შემოწმების დღისათვის საკონტროლო წერები ჩატარებული იყო მხოლოდ თიანეთის საშუალო სკოლაში.

სკოლების ხელმძღვანელები და საგნის მასწავლებლები მონდომებით არ იბრძვიან სასწავლო-მატერიალური ბაზის გაზრდისათვის. თიანეთისა და ხევსურთსოფლის საშუალო სკოლებში კლასკაბინეტები აქვთ. სიმონიანთხევის საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტი ერთად არის, ნაქალაქარის საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტი შეუფერებელ ოთახშია, ყოველივე ეს აძნელებს კაბინეტების მოწყობასა და მიზნობრივად გამოყენებას. სკოლები ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი საკმარისი რაოდენობის რეაქტივებით, ჭურჭლებით, ხელსაწყოებით, არ არის დაცული რეაქტივების შენახვის წესი. არ აქვთ ამწოვი კარადები და პირველდახმარების საშუალებები.

ბიოლოგიის სწავლებაში გარკვეული მიღწევები აქვს თიანეთის საშუალო სკოლას (მასწ. თ. ბაიაშვილი), სიონის საშ. სკოლას (მასწავლებელი პ. ქუმსიაშვილი). თ. ბაიაშვილს VII კლასში ზოოლოგიის გაკვეთილზე გამოსაკითხი მასალა ჰქონდა „სიფრიფანა ფრთიანი მწერები". მასწავლებელმა საკლასო ჟურნალში საჭირო ჩანაწერები გააკეთა, კლასს ყურადღებით მოავლო თვალი, შეამოწმა საშინაო დავალება. მოსწავლეები კარგად ჰყვებიან გაკვეთილს. რწმუნდება რა, გაკვეთილი ყველა მოსწავლემ იცის, ხსნის ახალ მასალას — „ორფრთიანების რიგი". მასალას ხსნის დანჯად, გასაგებად, იყენებს თვალსაჩინოებას, მოფიქრებულ კითხვებს სვამს. გაკვეთილზე ყველა მოსწავლე აქტიურობდა, აზროვნებდა; ყველას საკუთარი თავის იმედი ჰქონდა. მასწავლებელი სისტემატურად

ზრუნავს ბავშვებზე, რასაც გრძნობენ ბავშვები და უყოყმანოდ ასრულებენ პედაგოგის მითითებას, უყვართ, პატივს სცემენ მას. ასეთი გაკვეთილები ჩაატარა მან VIII და IX კლასებში. საგნის ღრმა ცოდნამ, სწავლების მეთოდების ოსტატურად მომარჯვებამ დიდი ავტორიტეტი შეუქმნა თ. ბაიაშვილს მოსწავლეებში და მოსახლეობაში. არც ერთი ორიანი ბიოლოგიაში—ასეთია ამჟამად მოწინავე მასწავლებლის დევიზი.

სიონის საშუალო სკოლის მასწავლებელს პ. ქუმსიაშვილს ბოტანიკის გაკვეთილზე გამოსაკითხი მასალა ჰქონდა „თესლის ორგანული ნივთიერებები", გადასაცემი მასალა—„თესლის შედგენილობა" ახალი მასალის ახსნისას ბავშვებს უჩვენა ექსპერიმენტი თესლში წყლის გამომყლავნებაზე. ამისათვის სინჯარაში დაახლოებით 1/5-ზე ჩაყარა სიმინდის თესლი, სპირტის ალზე გააცხელა, მაღალი ტემპერატურის ზეგავლენით თესლში არსებული წყალი აორთქლა და სინჯარის ზემო კედელზე, რომელმაც ჯერ ვერ მოასწრო გაცხელება, წყლის პატარა წვეთები გააჩინა, რითაც ბავშვები დაარწმუნა იმაში, რომ გარეგნულად მშრალ თესლში მოიპოვება წყალი, მინერალური და ორგანული ნივთიერებები. ასეთივე კარგი გაკვეთილი ჩაატარა მან VIII კლასში.

ზარიძეების 8-წლიანი სკოლის მასწავლებელმა აგაშენაშვილმა დამაკმაყოფილებლად ჩაატარა ბოტანიკის გაკვეთილი VI კლასში. გამოსაკითხი მასალა ჰქონდა რთულ ყვავილოვანთა ოჯახიდან—„მზესუმზირა", ხოლო გადასაცემი მასალა—„რთულ ყვავილოვანთა ოჯახის საერთო ნიშნები".

ასევე დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ბიოლოგიას სიმონიანთხევის (მასწავლებელი ლ. ტაბატაძე), ღულელების (მასწ. (მ. ვეფხვაძე), ხევსურთსოფლის (მასწ. ვ. ბუჯიაშვილი) საშუალო სკოლებში.

თიანეთის საშუალო სკოლის სასოფლო-სამეურნეო შრომის სწავლების მასწავლებელმა ს. იმერლიშვილმა დაწყვილებული გაკვეთილი ჩაატარა VII კლასში. მასწავლებელმა პირველი გაკვეთილი ჩაატარა კლასში, ხოლო მეორე—ნაკვეთზე. გამოსაკითხი მასალა ჰქონდა „ხეხილის მოსავლის აღება და აღრიცხვა", გადასაცემი მასალა—„მსხვილი რქოსანი საქონლის ჯიშები" პირველ გაკვეთილზე მასწავლებელმა ორ მოსწავლეს მოაყოლა საშინაო დავალება. შემდეგ შეამოწმა ფრონტალური კითხვებით კლასი და

ახალი მასალა—„მსვილფეხა რქიანი საქონლის ჯიშები“ ახსნა-დამაჯერებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ მოახდინა ახალი მასალის განმტკიცება კითხვებით. მეორე დაწყვილებულ გაკვეთილზე მასწავლებელმა მოსწავლეები მწყობრში ჩააყენა და სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე წაიყვანა, სასწავლო ნაკვეთი ბავშვებს გაასუფთავებინა სარეველებისაგან, ვინაიდან სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე სკოლის ზოოლოგიური განყოფილება არა ჰქონდათ და გაკვეთილი ითვალისწინებდა ექსკურსიას მეცხოველეობის ფერმაში მსხვილი რქიანი საქონლის ჯიშების გასაცნობად, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა მასწავლებელს გაკვეთილი ჩაეტარებინა კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის ფერმაში. საჭიროა მასწვალებელმა შეადგინოს გაკვეთილის გეგმა, სადაც ზუსტად გაითვალისწინოს თუ დაწყვილებული ორი გაკვეთილის განმავლობაში რა უნდა გააკეთოს. მეორე დაწყვილებულ გაკვეთილზე მასწავლებელმა ბავშვები სასწავლო ნაკვეთზე გამოიყვანა და ყოველგვარი ინსტრუქტაჟის და საუბრის გარეშე აგლეჯინა სარეველები. უმჯობესი კი იქნებოდა ესაუბრა მათთან, თუ რატომ აწარმოებს სარეველების მოგლეჯვას ძირიანად, რა ზიანი მოაქვს კულტურული მცენარეებისათვის მას, გარდა მოგლეჯისა, მასწავლებელს უნდა ეთქვა სარეველების მოსპობის სხვა რა ხერხია ცნობილი და სხვ.

საბუნებისმეტყველო საგნები ფართოდ უნდა იყოს დაკავშირებული მოსწავლეთა პრაქტიკულ მუშაობასთან სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, ამ მხრივ, თიანეთის რაიონის ზოგიერთ სკოლას კარგი ნაბიჯები აქვს გადადგმული, მაგ. ტუშურებისა და თიანეთის საშუალო სკოლებს და სხვ.

ტუშურების საშუალო სკოლის ნაკვეთი 0,5 ჰას შეადგენს ნაკვეთზე აქვთ ხეხილი, მათ შორის ვაშლი, მსხალი და სხვ. ნაკვეთზე აქთ ბოსტნეულისა და მინდვრის კულტურების განყოფილება. ზოოლოგიური განყოფილებიდან აქვთ ოთხი ოჯახი ფუტკარი.

სიონის საშუალო სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგეს პ. ქუმსიაშვილს აქვს როგორც ნაკვეთის სამუშაო გეგმა, ასევე ცდების დაყენების გეგმა.

ნაკვეთზე აქვთ ხეხილის, ბოსტნეულის, მინდვრის კულტურების და ყვავილების განყოფილება და ბოსტნეული კულტურების ჩითილის გამოსაყვანად ერთი კვალსათბური.

ნაკვეთზე არის გაკვეთილის ჩასატარებელი ღია მოედანი, სადაც დგას მაგიდა და სკამები.

ზარიძეების 8-წლიანი სკოლის ნაკვეთი (გამგე ა. აგაშენაშვილი) შემოუღობავია და არავითარი საცდელი მუშაობა არ ტარდება. ასეთივე მდგომარეობაა სიმონიანთხევის და ღულელების საშუალო სკოლებში.

კარგადაა დაყენებული ისტორიის სწავლება მ. გელოვანის სახელობის თიანეთის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი რ. იარაჯული სწავლების მეთოდებს იყენებს საქმის ცოდნით, მოხერხებულად, მარჯვედ და პირობების გათვალისწინებით, იგი მოსწავლეებისათვის საკვლევი გასაგებს, მისაწვდომსა და შესათვისებლად დასაძლევს ხდის ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს. სასწავლო პროცესს ხდის რაც შეიძლება მიმზიდველს, საინტერესოს და იწვევს მოსწავლეებში შესაფერ დადებით ემოციებს, მასწავლებლის თხრობის ენა, მეტყველება არის ნათელი, ლიტერატურულად, სტილისტურად დახვეწილი; ხმის ტემბრი არის მშვიდი, ბუნებრივი, სასიამოვნო და მიმზიდველი. კითხვებს სვამს მკვეთრად, სათანადო ინტონაციის დაცვით და იწვევს მოსწავლეთა სწრაფ რეაგირებას მოსწავლეებისაგან კი მოითხოვს სრულ, ზუსტ, ამომწურავ, გააზრებულ, გაცნობიერებულ, პასუხს. სწორედ ამით აიხსნება, რომ ამ კლასების მოსწავლეებს, რომლებსაც მასწავლებელი რ. იარაჯული ასწავლის, გააჩნიათ საპროგრამო მასალის მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა. დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის სწავლება ტუშურების (მასწ. არჩომაშვილი), სიმონიანთხევის (მასწ. კ. პატურაშვილი და ქაშიაშვილი), ხევსურთსოფლის (მასწ. გ. ფიცხალაური), სიონის (მასწ. გ. ლევერაშვილი), თიანეთის (მასწ. ი. გელიაშვილი) საშუალო სკოლებში.

დაბალ დონეზე დგას ისტორიის სწავლება ღულელების საშუალო სკოლის X კლასში. მასწავლებელი ე. აფხაზიშვილი არ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ იყენებს სწავლებაში თვალსაჩინოებას და ტექნიკურ საშუალებებს. იგი გაკვეთილის თხრობის დასაწყისში არ აცნობს მოსწავლეებს თხრობის თემას, მის უმთავრეს საკითხებს და ვერ იწვევს მოსწავლეებში მასალის მოსმენის, გაგებისა და შეთვისებისათვის საჭირო ინტერესს და ყურადღებას, ხოლო თხრობის ბოლოს არ აკეთებს მონათხრობის სისტემაში მოყვანას და ძირითადი დასკვნების გამოყვანას. ამიტომ, მოსწავლეებმა მასწავლებლის მიერ „ახსნილი“ მასალა—„დიდ სამამულო

ომში სსრ კავშირის გამარჯვების წყაროები“ ვერ გაიგეს, ასევე სუსტად იციან განვლილი მასალა. ასეთივე მდგომარეობაა ქალაქ სურთოფლის საშუალო სკოლის VIII კლასში, მასწავლებელმა ნ. ზურაბიშვილმა ვერ შეძლო დაესაბუთებინა თუ რა საფრთხე მოელოდა საფრანგეთს იმ მომენტში, როცა ძალაუფლება ხელში აიღეს იაკობინელებმა. რატომ იყო იაკობინელთა ხელისუფლება რევოლუციურ-ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დიქტატურა და რატომ იყო ეს პერიოდი საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის უმაღლესი საფეხური, რატომ იყო აუცილებელი რევოლუციური ტერორი, რა გაუკეთეს იაკობინელებმა მშრომელ მასებს და ა. შ.

ანალოგიური მდგომარეობაა სიმონიანთხევის საშუალო სკოლის მე-8 კლასში. მასწავლებელმა ნ. კრიჟანოვსკიმ ვერ მოახერხა განემარტა მოსწავლეებისათვის, რატომ იყო ლათინური ამერიკის კოლონიური აჯანყებანი და ომები ბურჟუაზიული, რით გამოიხატა მათი დაუმთავრებლობა, შეერთებული შტატების დაპყრობითი გეგმები ლათინურ ამერიკაში და ა. შ.

ძალზე სუსტად ისწავლება ისტორია თიანეთის საშუალო სკოლის V კლასში, მასწავლებელი ა. მექვაბიშვილი სასკოლო სახელმძღვანელოში მოცემული მასალის გადაცემასაც კი ვერ ახერხებს, მოსწავლეებმა გამოსაკითხი გაკვეთილის თემიდან— „სახელმწიფოს მართვა-გამგეობა და კლასთა ბრძოლა ეგვიპტეში“, ვერაფერი თქვეს, თუ რა მოვალეობას ასრულებდნენ მოხელეები ეგვიპტეში, რატომ მიაჩნდა მეფეს ღარიბები ყველაზე უფრო საშიშ მტრებად, ასევე ვერაფერი თქვეს გლეხებისა და მონების მდგომარეობის შესახებ, რომელ საუკუნეში იყო აჯანყება ეგვიპტეში და რამდენი საუკუნის წინათ იყო ეს აჯანყება.

ასევე სუსტად მუშაობს სიონის საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. ჭინჭარაული. VII კლასის მოსწავლეებმა, გამოსაკითხი მასალიდან—არაბთა ხალიფატი და მისი დაშლა, ვერ დაასახელეს არაბების მიერ დაპყრობილი ქვეყნები, სახალხო აჯანყების რაიონები, რა მიზეზებმა გამოიწვია არაბთა ხალიფატის დაშლა და ა. შ. სუსტად და ბუნდოვნად ახსნა მასწავლებელმა თემა—„ხალიფატის ქვეყნების კულტურა“, თითქმის არაფერი უთქვამს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების და ხალიფატის კულტურის მნიშვნელობის შესახებ. ასევე, ტუშურების საშუალო სკოლის IX კლასის მასწავლებელმა დ. კახოშვილმა თემის— „მარქსიზმის გავრცე-

ლება და მეორე ინტერნაციონალის შექმნა"—ახსნისას არ განმარტა თუ როგორი იყო მეორე ინტერნაციონალის შექმნის წინაპირობები, რა ზომებს მიმართავდნენ მარქსი და ენგელსი, რომ უზრუნველყოთ მარქსიზმის იდეათა გამარჯვება საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში და ა. შ.

შ. ლომიძე (ხელმძღვანელი)
დ. მახარაძე
ე. ქურციკიძე
გ. ხოშტარია
გ. გიორგობიანი
ჭ. თუთბერიძე
გ. ლომსიანიძე
ი. ბერუაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 2 დეკემბრის ბრძანება № 641

ქ. რუსთავის მუსიკალური ჯგუფების შემოწმების შედეგების შესახებ

აღნიშნავ, რომ უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაუმჯობესდა მუსიკალური ჯგუფების მუშაობა ქ. რუსთავის სკოლებში. გაიზარდა მოსწავლეთა კონტინგენტი, შედარებით ამაღლდა სწავლების ხარისხი. სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ძირითადად ყამაკმაყოფილებელია.

მიუხედავად ამისა, ქ. [რუსთავის სკოლების მუსიკალური ჯგუფების მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებებს. თითქმის არც ერთ სკოლაში, გარდა მე-15 სკოლის მუსიკალური შვიდწლედისა, არ იგრძნობა დირექტორების მოადგილეების მუსიკალური აღზრდის დარგში სწორი და უნარიანი მეთოდური ხელმძღვანელობა პედაგოგების მიმართ, პედაგოგები მუშაობენ დაუმტკიცებელი ინდივიდუალური გეგმებით, რომლებიც უწესრიგოდაა გაფორმებული (მაგალითად, მე-13 სკოლა, პედაგოგი მ. რუხაძე, 1-ლი სკოლის პედაგოგი პეტროვსკაია, მე-17 სკოლის პედაგოგი მენთეშაშვილი და სხვ.). კონტროლს მოკლებულია მოსწავლეთა დღიურების წარმოება (მაგალითად, მე-9 სკოლის პედაგოგი ლ. ევგენიძე, მე-13 სკოლის პედაგოგი რ. კუროიანი). პედაგოგების საგრძნობ ნაწილს არა აქვთ სათანადო ცენზი და კვალიფიკაცია, რის გამოც მოსწავლეები ჩამორჩენილი არიან პროგრამული მასალის გავლაში (მაგალითად, მე-13 სკოლის პედაგოგები—რ. კუროიანი, ლ. ჩირინაშვილი, ც. ივანეიშვილი, ვაშაძე, მე-11 სკოლის პედაგოგი ლ. პაპუაშვილი).

შემოწმებით გამოირკვა, რომ მუსიკალური ჯგუფების ხელმძღვანელები უგულებელყოფენ გეგმების, სამეცადინო ცხრილების

და სხვა საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას (1-ლი, მე-7, მე-11, მე-13, მე-19 და სხვა სკოლები). მოსმენილმა გაკვეთილებმა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არ დატოვა დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება. პედაგოგები თავს ვერ ართმევენ მათ წინაშე დასახულ ძირითად ამოცანას, არ შეუძლიათ გაკვეთილის გეგმაზომიერი წარმართვა, რაციონალურად ვერ იყენებენ გაკვეთილისათვის განსაზღვრულ დროს.

ქ. რუსთავის განათლების განყოფილება ჯერ კიდევ ცოტა დროს უთმობს სკოლების მუსიკალური ჯგუფების მუშაობის საკითხებს. სუსტად ტარდება საქალაქო მასშტაბით მეთოდური მუშაობა, სემინარები, ღია და დახურული კონცერტები და სხვ. მეთოდისტ-ინსპექტორებმა (თ. ჯანელიძე და გ. მუჯირი) თავი ვერ გაართვეს მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

ქ. რუსთავის საშუალო სკოლების მუსიკალური ჯგუფების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. რუსთავის საშუალო სკოლების დირექტორებმა:

ა) უზრუნველყონ მუსიკალურ ჯგუფებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გაუმჯობესება;

ბ) სისტემატური კონტროლი გაუწიონ მუსიკალური აღზრდის დარგში დირექტორების მოადგილეების საქმიანობას, შრომის დისციპლინას, დოკუმენტაციის სათანადოდ გაფორმებას;

გ) სათანადო ყურადღება დაუთმონ სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაში მასობრივი ღონისძიებების ჩატარებას. ღია და დახურულ აკადემიურ კონცერტებს, კონკურსებს, სხვა სკოლების მუსიკალურ ჯგუფებთან შემოქმედებით შეხვედრებს;

დ) უზრუნველყონ მუსიკალური ჯგუფები სათანადო მასალა-ხელსაწყოებით, ინვენტარით, საკრავებით, შესაფერი ბინებითა და სხვა;

ე) გამოავლინონ სუსტად მომუშავე პედაგოგები და განათლების განყოფილებასთან ერთად მიიღონ სათანადო ზომები.

11. ქ. რუსთავის განათლების განყოფილებამ (ა. შერვაშიძე):

ა) სისტემატური კონტროლი გაუწიოს და თვალყური ადევნოს მუსიკალური ჯგუფების მუშაობას:

ბ) 1972—1973 სასწავლო წლისათვის გადაახალისოს მუსიკალური ჯგუფების მასწავლებელთა შემადგენლობა. სისტემატურად

იზრუნოს მუსიკალური ჯგუფების კვალიფიციური გამგეებითა და პედაგოგებით შევსებაზე. არ დაუშვას სათანადო კვალიფიკაციისა და ცენზის არამქონე მასწავლებლების მიღება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) კონტროლი გაუწიოს ესთეტიკური ციკლის ინსპექტორ-მეთოდისტების მუშაობას; მათ მიერ მეთოდური ღონისძიებების სისტემატურად ჩატარებას, ლექცია-სემინარების ორგანიზებას მუსიკალური ჯგუფების მასწავლებლებისათვის, საქალაქო თემატური ღონისძიებების ჩატარებას და სხვ;

დ) უზრუნველყოს მუსიკალურ ჯგუფებში, სადაც სათანადო ცენზითა და გამოცდილებით არიან პედაგოგები, მეთოდკომისიების შექმნა სპეციალობების მიხედვით;

ე) განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილოს მუსიკალური ჯგუფების მუშაობის საკითხები;

ვ) უზრუნველყოს მუსიკალური ჯგუფების ყველა საჭირო დოკუმენტაციის სათანადოდ გაფორმება;

III. ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ჯ. მუჯირი):

ა) დახმარება გაუწიოს ქ. რუსთავის განათლების განყოფილებას სათანადო პედაგოგიური კადრების შერჩევაში;

ბ) მოახდინოს აღნიშნული ბრძანების შესრულების შემოწმება 1972—73 სასწავლო წლის დასაწყისში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წ. 25 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 11 დეკემბრის ბრძანება № 651

რესპუბლიკაში საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 19 ოქტომბრის დადგენილების განხორციელების შესახებ

ვაქვეყნებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებას—„რესპუბლიკაში საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის მდგომარეობის შესახებ“.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მასალები რესპუბლიკაში საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოებმა პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, განათლების ორგანოებთან ერთად, დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარეს საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. გატარებულ ღონისძიებათა შედეგად უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საშუალო სკოლადამთავრებულთა რიცხვი, გაუმჯობესდა სკოლების შევსება მასწავლებელთა კადრებით, განმტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალური ბაზა.

გასულ 1971—1972 სასწავლო წელს რვა კლასის განათლება მიიღო 90 ათასზე მეტმა მოსწავლემ, ანუ იმ ახალგაზრდობის 93,0 პროცენტმა, რომლებიც რვა წლის წინათ შევიდნენ სკოლაში; საშუალო განათლება მიიღო 65 ათასზე მეტმა, ანუ იმ ბავშვების 70 პროცენტმა, რომლებიც 1962/1963 სასწავლო წელს შევიდნენ

პირველ კლასში. შემცირდა სკოლებიდან უმიზეზოდ განთესვის შემთხვევები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ მიღებული ზომების შედეგად მიმდინარე სასწავლო წელს სკოლებს დაუბრუნდა 334 მოსწავლე.

გაიზარდა მოსწავლეთა მიღება საშუალო სკოლების მე-9 კლასში, ტექნიკუმებსა და იმ პროფტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც საშუალო განათლებას იძლევიან.

1971—72 სასწავლო წელს რვაკლასდამთავრებულთაგან მე-9 კლასში სწავლას აგრძელებს 83,8 პროცენტი.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით 1972—73 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უნდა ესწავლა 979,1 ათას მოსწავლეს, ფაქტიურად სწავლობს 979,117, გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით.

საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სწავლების სკოლებში გეგმით უნდა სწავლობდეს 48.099 მოზარდი, ფაქტიურად სწავლობს 48,199, ანუ გეგმა შესრულდა 100,2 პროცენტით.

გადიდდა კვალიფიციურ მასწავლებელთა რიცხვი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა 69 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვს, უფრო სრულყოფილი ხდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება სკოლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად, უკანასკნელი 4 წლის (1969—72 წ. წ.) სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა თანხებით სასკოლო შენობები აშენდა 98.000 მოსწავლისათვის.

ამასთან ერთად, რესპუბლიკაში საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის საქმეში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებანია, ხშირია მოსწავლეთა სკოლიდან გასვლის შემთხვევები. 1972 წელს სწავლა მიატოვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა 2,4 პროცენტმა და საღამოს სკოლის მოსწავლეთა 8,9 პროცენტმა. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ახალქალაქის, ონის, მესტიის, ყაზბეგის, ჩოხატაურის, ყვარლის, ბოგდანოვკის რაიონებში.

ჯერ კიდევ დიდია მეორეწლიან მოსწავლეთა რიცხვი. 1972 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში იგი შეადგენდა 25.490 (2,6%), ხოლო საღამოს სკოლებში 28.000 (5%) მოსწავლეს.

ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა არ შეუსრულებიათ ახალციხის, ამბროლაურის, გურჯაანის, ონის, ორჯონიკიძის, თეთრი წყაროს რაიონებს, ხოლო ყაზბეგის, კასპის, ყვარლის, გორის, აბაშის, ლანჩხუთის, სამტრედიის რაიონებში რვაკლასდამთავრებულთა მხოლოდ 60—70 პროცენტი აგრძელებს სწავლას საშუალო განათლების მისაღებად.

ჯერ კიდევ სუსტია ზოგიერთი სკოლის მატერიალური ბაზა. 380-ზე მეტი შენობა მთლიანად ამორტიზებულია და ავარიულ მდგომარეობაშია, 460 სკოლა მოთავსებულია დაქირავებულ შენობაში.

ზოგან სრულყოფილად არ სრულდება ზემდგომი ორგანოების დადგენილება შორს მცხოვრები ბავშვების ტრანსპორტით უფასოდ სკოლაში მიყვანის და სახლში წაყვანის შესახებ. სასკოლო-ინტერნატების არსებული ქსელი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ამ მიზეზით სოფლის სკოლების მოსწავლეთა 60 პროცენტი სკოლაში ფეხით დიდ მანძილზე დადის, ან კერძო, დაქირავებულ ბინებში ცხოვრობს, სასკოლო-ინტერნატების უმრავლესობაში არ არის შექმნილი სათანადო პირობები ბავშვთა ნორმალური ცხოვრებისა და მეცადინეობისათვის.

სკოლების გარკვეული რაოდენობა, განსაკუთრებით სოფლად, უზრუნველყოფილი არ არის სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ნელი ტემპით ამუშავებს მოსწავლეთა განათლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის პრობლემებს.

უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებელთა კადრების მომზადება არასაკმარისად არის დაკავშირებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თანამედროვე მოთხოვნებთან.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასკომი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის განხორციელებას, ამ საქმეში ნაკლებად იყენებს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების დიდ შესაძლებლობებს, სათანადო ყურადღება არ ექცევა სასკოლო ასაკის ბავშვთა აღწერას, საკომლო და საბინაო დავთრებში არსებული ჩანაწერების შედარებას სწავლებაში ფაქტიურად ჩაბმულ მოსწავლეთა სიებთან.

ბოგდანოვკის, ახალქალაქის, სიღნაღის, ახალციხის, კასპის, ოჩამჩირის, ონის რაიონებში არ სრულდება მთავრობის დადგენილება მასწავლებელთა უფასო კომუნალური (ბინა, გათბობა, განათება) მომსახურებით უზრუნველყოფის შესახებ. ნელი ტემპით მიმდინარეობს სოფლის მასწავლებლებისათვის სახლების მშენებლობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა დიდი მუშაობა გასწიეს თავიანთ საარჩევნო ოლქებში სკოლიდან განთესილ ბავშვთა სწავლებაში ჩასაბმელად და ეთხოვოს მათ შემდგომშიაც ადევნონ თვალყური სკოლის ასაკის ყველა ბავშვის სწავლებაში ჩაბმას, სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებას და ყოველმხრივ დაეხმარონ განათლების ორგანოებს —აღმოფხვრან საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

2. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტმა, განათლების ორგანოებთან ერთად, პარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მიიღონ ზომები რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც:

ა) განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სწავლებაში ჩასაბმელად, ამასთან მტკიცე კონტროლი დააწესონ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვაზე;

ბ) მიაღწიონ იმას, რომ უკლებლივ ყველა მოსწავლე ამთავრებდეს რვაწლიანი სკოლის სრულ კურსს და შემდგომ, საშუალო განათლების მისაღებად სწავლას აგრძელებდეს საშუალო სკოლის მე-9 კლასში, ტექნიკუმში ან პროფტექნიკურ სასწავლებლებში;

გ) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობისა და მეორეწლიანთა რიცხვის მინიმუმამდე დაყვანისათვის;

დ) შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან, წარმოების ხელმძღვანელობასთან ერთად, გაუმჯობესონ საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობა. მომუშავე ახალგაზრდებს შეუქმნან ყოველგვარი პირობები საშუალო განათლების მისაღებად;

ე) მიიღონ ზომები შორს მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორ-
ტით უფასოდ სკოლაში წაყვანისა და სახლში მიყვანისათვის, ეტ
ყურადღება მიაქციონ სასკოლო ინტერნატების უზრუნველყოფას
მაგარი და რბილი ინვენტარით და ინტერნატში მცხოვრებ ბავშვთა
კვების საქმის გაუაჯობესებას;

ვ) იზრუნონ რაიონში სამუშაოდ ჩასულ მასწავლებელთა სა-
ყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის და არ დაუშვან
დარღვევები მთავრობის მიერ მათთვის დაწესებული შეღავათების
განხორციელებაში;

ზ) საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლასთან და-
კავშირებული ცალკეული საკითხები სისტემატურად განიხილონ
სესიებზე, აღმასკომების სხდომებზე, მოსახლეობის კრებებსა და
ყრილობებზე, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები,
მუდმივი კომისიები და აქტივი.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, პედაგოგი-
კის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და განათ-
ლების ადგილობრივმა ორგანოებმა:

ა) დროულად დაამთავრონ სკოლების გადაყვანა ახალ სას-
წავლო გეგმებსა და პროგრამებზე, შეადგინონ და გამოსცენ სა-
ხელმძღვანელოები, სასწავლო-მეთოდურ სახელმძღვანელოთა კომპ-
ლექტები, რომლებშიც აისახება მეცნიერებისა და წარმოების თა-
ნამედროვე მიღწევათა დონე;

ბ) თანამიმდევრულად განაახლონ და გაამრავალფეროვნონ
სწავლების მეთოდები, ეფექტურად გამოიყენონ სწავლების ტექნი-
კური საშუალებანი — კინო, რადიო და ტელევიზია: გააუმჯობესონ
ფაკულტატიური მეცადინეობის შინაარსი; მიიღონ ზომები მოსწავ-
ლეთა ზნეობრივი, ესთეტიკური, სამართლებრივი, სამხედრო-პატ-
რიოტული და ათეისტური აღზრდისათვის;

გ) გაზარდონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის
როლი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში, განა-
ზოგადონ და გაავრცელონ სწავლების მოწინავე მეთოდები და გა-
მოცდილებანი, გააუმჯობესონ ინსტიტუტის სასწავლო მატერია-
ლური ბაზა.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს რეს-
პუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალურ-
ტექნიკური ბაზის შემდგომი გაფართოება-განმტკიცების, კაბინეტ-

ლაბორატორიებით, სასკოლო-ინვენტარით უზრუნველყოფისა და
იმ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების რაოდენობის გაზრდის
საკითხები, რომლებიც იძლევიან საშუალო განათლებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 19 ოქტომბრის დადგენილების — „რესპუბლიკაში საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის მდგომარეობის შესახებ“ განხორციელების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უზრუნველყონ სკოლის ასაკის ყველა ბავშვის სწავლებაში ჩაბმა, მიიღონ საჭირო ზომები მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებისათვის; არ დაუშვან მოზარდების გასვლა სკოლიდან არასაპატიო მიზეზით; მიაღწიონ ადრე სკოლიდან განთესილების სწავლებაში ჩაბმას, მოაწესრიგონ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა, დაამყარონ ამ საქმეში მჭიდრო კავშირი ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებთან;

ბ) მიაღწიონ იმას, რომ უკლებლივ ყველა მოსწავლე ამთავრებდეს რვაწლიანი სკოლის სრულ კურსს და შემდგომ, საშუალო განათლების მისაღებად სწავლას აგრძელებდეს საშუალო სკოლის მე-9 კლასში, ტექნიკუმში ან პროფტექნიკურ სასწავლებლებში;

გ) შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების, განათლების ორგანოებისა და სკოლების ხელმძღვანელთა მოღვაწეობის გაუმჯობესების მიზნით; გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის აღმოფხვრას, ამასთან იბრძოლონ მეორეწლიანობასთან, როგორც ბავშვების სკოლიდან გასვლის ძირითად მიზეზთან;

დ) გააუმჯობესონ მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფორიენტაციის სისტემა, მუდმივი ყურადღების ქვეშ იყოლიონ

ზალრმავებული სწავლების ჯგუფები, მოაწესრიგონ ფაკულტატივის სწორი და ეფექტური გამოყენება, სისტემატურად შეამოწმონ და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სკოლებს ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლის საქმეში;

ე) სკოლების მუშაობაში ფართოდ დანერგონ სწავლების ტექნიკური საშუალებები, მიიღონ ზომები ახალი ტექნიკითა და თვალსაჩინო მასალებით სკოლების დაკომპლექტებისათვის;

ვ) განუხრელად აამაღლონ მასწავლებელთა ოსტატობა; მიიღონ გადამჭრელი ზომები იმ პედაგოგთა მიმართ, რომლებიც პროფესიული უვარგისობის გამო, სამუშაოდან განთავისუფლებას იმსახურებენ, ამასთანავე მიაღწიონ პედაგოგიური კადრების დენადობის ლიკვიდაციას, მკაცრი კონტროლი დააწესონ მასწავლებელთათვის მთავრობის მიერ დადგენილი შეღავათების განხორციელებაზე;

ზ) მიიღონ ზომები შორს მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით უფასოდ სკოლაში წაყვანისა და სახლში მიყვანისათვის. საჭირო ყურადღება მიაქციონ სასკოლო ინტერნატებში ნორმალური პირობების შექმნის საკითხებს;

თ) გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა მშობლებსა და მოსწავლეებს შორის. მიაღწიონ მოზარდთა მიერ კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ფაქტების სრულ ლიკვიდაციას;

ი) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი პროფტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტებას იმ მოზარდებით, რომლებმაც 8 კლასი დაამთავრეს, მიიღონ ზომები, რათა პროფტექნიკური სასწავლებლების არც ერთი მოსწავლე არ დარჩეს ზოგადსაგანმანათლებლო საამოს (ცვლის) სკოლაში სწავლის გარეშე; მომუშავე ახალგაზრდებს შეუქმნან ყოველგვარი პირობები საშუალო განათლების მისაღებად.

2. სკოლებისა (ა. ჩხიკვაძე) და საგეგმო-საფინანსო (ა. კვაჭაძე) სამმართველოებმა 1972 წლის 25 დეკემბრამდე შეისწავლონ შერჩევით სამ რაიონში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის მდგომარეობა და შედეგები მოახსენონ კოლეგიას.

3. ეს ბრძანება განხილული იქნას ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების კოლეგიების, ოლქის, ქალაქე-

ბისა და რაიონების განათლების განყოფილებათა საბჭოების სხდომებზე და დასახული იქნეს კონკრეტული ღონისძიებები მასში აღნიშნული ხარვეზების სალიკვიდაციოდ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 7 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 601—ესთეტიკის დარგში რესპუბლიკის მოსწავლეთა ზოგადი ცოდნის მდგომარეობის შესახებ 3
2. ბრძანება № 620/490—საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 7
3. ბრძანება № 622—ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ 12
4. ბრძანება № 638—თიანეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 12 ოქტომბრის № 602 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 22
5. ბრძანება № 641—ქ. რუსთავის მუსიკალური ჯგუფების შემოწმების შედეგების შესახებ 47
6. ბრძანება № 651—რესპუბლიკაში საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების განხორციელების შესახებ 50

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 14 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/II-73წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4.

შეკვ. № 1102 უე—05277 ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Главполиграфпрома Государственного Комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19